საერთო გაზეთი

№5 (597) • 17 თებერვალი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

ქართველ ერსაც გადასალახი აქვს თავისი წილი ქართული უდაბნო

ქართული სატიაგრაჰა ჯერ არ შექმნილა-მეთქი, – ვწერდი ერთ-ერთ წერილში. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მთლად მართალი არ ვიყავი. ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, თამამად შეიძლება ქართული სატიაგრაჰას დასაწყისად და დასაბამად ჩავთვალოთ.

ირაკლი ზარქუა:

ჩვენ საქმე გვაქვს დესტრუქციულ ძალებთან, რომელთა მიზანია ქაოსსა და დაძაბულობაში შეიყვანონ ქვეყანა, თუმცა გარწმუნებთ, რომ მათ ეს არ გამოუვათ!

დემოკრატია განსასჯელის სკამზე

თუ დემოკრატიაა ის, რომ, როცა შენს სახელმწიფოს ანგრევენ არამზადები, შენ კი იძულებული ხარ, გულხელდაკრეფილმა უყურო, მაშინ ცუდი ყოფილა დემოკრატია

„საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში“

ელიზბარ ჯაველიძე:

„ქართულო ოცნებავ“, პარლამენტში ნუ ეპატიჟები პარტიას, რომელიც ხალხს ცოცხებით აუპატიურებდა „ნაცები“ და „ევროპული საქართველო“ ქართული სახელმწიფოს, მტრები არიან!“

განსაკუთრებულად უსინდისო „განსაკუთრებული კაცი“

ნდრანგეტა – ყველაზე უჩინარი და ყველაზე ძლიერი მაფია მთელს მსოფლიოში

სოსო მანჯავიძე:

ხვიჩა და გოჩა ხომ გახსოვთ, არც ერთი რომ არ იყო ვენეციელი და არც მეორე ეგვიპტელი! ხვიჩას და გოჩას ტრაგედია მეორდება დღეს XXI ს-ის საქართველოში

ტრამპის იმპიჩმენტი ანუ ნადირობა კუდიანებზე

მელაძე და მელაძუა გოგაშვილი, ანუ რაღაც დალპა საქართველოში

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ქართველ ერსაც გადასალახი აქვს თავისი წილი ქართული უდაბნო

ვახტანგ ხარჩილავა:

ქართული სატიაგრაჰა ჯერ არ შექმნილა-მეთქი, — ვწერდი ერთ-ერთ წერილში. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მთლად მართალი არ ვიყავი.

ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, თამამად შეიძლება ქართული სატიაგრაჰას დასაწყისად და დასაბამად ჩავთვალოთ.

●

— არა იარაღით, არა ძალადობით, არამედ მხოლოდ მშვიდობიანი წინააღმდეგობით თუ მივაღწევთ სასურველ შედეგს. ამგვარი ბრძოლა მაღალ სულიერებას, ზნეობრივი და მორალური ნორმების ერთგულებას, კეთილშობილებას, შემწყნარებლობას მოითხოვს ჩვენგან. ეს ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ბრძოლაა საკუთარ მანკიერებასთან, ბრძოლა იმისთვის, რომ უკეთესები გავხდეთ. ინგლისელები კი არ არიან ცუდები, ჩვენ არ ვართ კარგები. გავხდეთ უფრო კარგები და ჩვენ მოვიგებთ ამ ომს — არწმუნებდა განდი ინდოელებს.

იგივეს ეუბნება ბიძინა ივანიშვილი ქართველებს, თუმცა ქართველებს მაინცდამაინც ნათლად არ ესმით ამ მოწოდების დედააზრი და გამარჯვების მოპოვება მამაპაპური წესით, მუშტის ერთი დარტყმით, უფრო მარტივი და იოლი ჰგონიათ.

შეუპოვრობა ჭეშმარიტებაში საკუთარი მანკიერების ძლევის გზა, არაძალადობრივი, მშვიდობიანი წინააღმდეგობა, ზნეობრივი ნორმების დაცვა, ხანგრძლივ დროს და, რაც მთავარია, შრომას, ენერგიის ხარჯვას მოითხოვს, ჩვენ კი, ქართველები, ცოტა წავიზარმაცებთ და ამიტომაც მოწინააღმდეგის ერთი დაკვრით ნოკაუტში ჩაგდება უფრო გვირჩევნია.

ბიძინა ივანიშვილი ხშირად ამბობს სიტყვას მსოფლმხედველობა, თუმცა ქართველებს, რომლებსაც დიდი ხანია სიტყვების შინაარსი არ აინტერესებთ, არც ამჯერად მოუკლავთ თავი იმის გაგებით, რას გულისხმობს და საერთოდ, რა მსოფლმხედველობაზე ლაპარაკობს ივანიშვილი?

რა მსოფლმხედველობაა ეს და რა პრინციპებს და რა ღირებულებებს ეფუძნება იგი?

ერთი შეხედვით, ივანიშვილი თითქოს მაჰათმა განდის მოძღვრების პირდაპირ კალკირებას ახდენს, თუმცა სინამდვილეში მისი მოსაზრებები ღრმად ქრისტიანული და აბსოლუტურად ქართულია.

სამწუხაროდ, ექსპერტებს და ანალიტიკოსებს ჯერჯერობით არ გაუშიფრავთ და არ გაუანალიზებიათ ის იდეოლოგია, რასაც ივანიშვილი გვთავაზობს და არც იმ ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე გაუმახვილებია ვინმეს ყურადღება, რომლითაც ივანიშვილი ამ იდეოლოგიური პლატფორმის ცხოვრებაში განხორციელებას აპირებს.

დასანანი და გულსატკენია, რომ ბიძინა ივანიშვილის პიროვნებას ასე ზერელედ, ზედაპირულად და პრიმიტიულად აფასებს ქართველი საზოგადოება — გამოჩნდა მდიდარი ადამიანი, სიკეთის ქმნისკენ მიდრეკილი მილიარდერი, რომელსაც ბიზნესი მოსწყინდა და ახლა პოლიტიკოსობა მოესურვა.

არადა, ბიძინა ივანიშვილის მილიარდები საერთოდ არაფერ კავშირში არ არის იმ კონცეფციასთან და იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ივანიშვილს, უალტერნატივო და ერთადერთ საშუალებად მიაჩნია გამარჯვების მისაღწევად.

ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ღირსეულ გამარჯვებამდე რთული და ძნელი გზის გავლა შესთავაზა, ერთი აუცილებელი პირობით — ამ გზას იგი ქართველ ხალხთან ერთად გაივლიდა და ყველა იმ გასაჭირს, ყველა იმ ხიფათს გაიზიარებდა, რაც ამ გზაზე მის თანამგზავრ ქართველ ხალხს შეხვდებოდა.

მას სრულიად უმტკივნეულოდ შეეძლო თავი აერიდებინა ამ სახიფათო გზის გავლისთვის და სახლიდან გამოუსვლელად, რბილ სავარძელში ჩამჯდარს მიეღო იმდენი ძალაუფლება, რამდენსაც მოისურვებდა, მაგრამ მან უარი თქვა ამ კომფორტულ ცთუნებაზე და თავისი თავის, როგორც პოლიტიკოსის, შექმნა და გამოძერწვა საკუთარი ხელით ირჩია.

ეს გზა, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ერთგვარი გამოცდის და სულიერი წრთობის გზაც არის და იმის მინიშნებაც, რომ არ შეიძლება გამარჯვებას ერთბაშად მიადგე — სანამ გამარჯვებამდე მიხვალ, რაღაც გზა უნდა გაიარო, რომ ბევრი ფიქრი მოასწრო თუნდაც შეცდომების დაშვება მოასწრო, რომ მერე ისწავლო ამ შეცდომებზე და გამარჯვებამდე ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მიხვიდე.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, მოსულიყო პოლიტიკაში და დაეწყო ნულიდან, დაეწყო სუფთა ფურცლიდან, არის გადაწყვეტილება იმ კაცისა, რომელმაც ასევე ნულიდან დაიწყო ბიზნესი და საკუთარი შრომით, ნიჭიერებით, გამჭრიახობით, მიზანსწრაფულობით და, რაც მთავარია, წესიერებით, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა.

ბიძინა ივანიშვილის კრედო, მისი ფილოსოფია შემდეგში მდგომარეობს: ადამიანმა თვითონ უნდა „ააშენოს“ ტაძარივით საკუთარი თავი, თვითონ უნდა სრულყოს და დახვეწოს ისე, რომ ამ ტაძარმა დროს გაუძლოს და თანამედროვეთათვის და მომავალი თაობებისთვის ორიენტირად იქცეს.

●

ქართველებს ერთი უცნაური თვისება გვაქვს — ყველას ჭკვიანი ჰგონია თავისი თავი, თანაც განსაკუთრებულად ჭკვიანი.

ბევრი არაფერი გვაბადია, მაგრამ, აი, ჭკუა გვაქვს თავსაყრელად და, რა თქმა უნდა, ჭკუის დარიგებაც ძალიან გვიყვარს.

ნახეთ, რა კარგი გამოთქმაა — ჭკუის დარიგება.

თითქოს საჩუქრებს ვარიგებდეთ, ისე ვარიგებთ და ვარიგებთ ქართველები ჭკუას, თუმცა ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ქართველმა შეიძლება ნოტის წაკითხვაც არ იცოდეს, მაგრამ შეუძლია კომპოზიტორს ჭკუა დაარიგოს და ასწავლოს, როგორ უნდა შექმნას მშვენიერი მუსიკა.

ქართველს, რომელსაც თავის ცხოვრებაში ფუნჯი არ აუღია ხელში, შეუძლია მხატვარს მისცეს რჩევა თუ როგორ უნდა დახატოს გენიალური ნახატი.

ქართველს, რომელსაც 5 ლარი არ უდევს ჯიბეში, შეუძლია 5 მილიარდის პატრონს ჭკუა დაარიგოს და მენეჯმენტის სფეროში „კვალიფიციური“ რჩევები მისცეს.

ქართველები ჭკუას განსაკუთრებულად გულუხვად და ხელგაშლილად პოლიტიკის დარგში არიგებენ.

ბიძინა ივანიშვილსაც ბევრი ჭკუის დამრიგებელი და მრჩეველი გამოუჩნდა, რომლებიც თავიანთ წმინდათაწმინდა მოვალეობად თვლიდნენ, ესწავლებინათ პოლიტიკოსი ივანიშვილსთვის, როგორ უნდა ეკეთებინა პოლიტიკა, ვინ დაეყენებინა გვერდით,



ვინ შეერისხა, როგორ ელაპარაკა და რაზე ელაპარაკა.

არადა, დროის ამ უმცირეს მონაკვეთში, ბიძინა ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ ის უკვე შედგა, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი, რომელიც არც თავისი წინამორბედებიდან და არც თავისი თანამედროვეებიდან არავის არ ჰგავს.

ბიძინა ივანიშვილი არის სრულიად ახალი პოლიტიკური აზროვნების და ახალი პოლიტიკური კონცეფციის პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს ქართულ პოლიტიკას ცივილური სახე დაუბრუნოს.

ვიღაცები მას უკან, პოლიტიკური ჯუნგლებისკენ მიექაჩებიან, მაგრამ მას ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ამ გეგმიდან არც გადაუხვევია.

●

მაჰათმა განდი ინდოელებს ეუბნებოდა — პრობლემა მხოლოდ იმაში კი არ არის, რომ ინგლისელები არიან ცუდები, ჩვენ არა ვართ კარგები. გავხდეთ უფრო კარგები და ინგლისელი კოლონიზატორები იძულებულნი გახდებიან, ინდოეთიდან წავიდნენ.

ქართულ სინამდვილეშიც, დაახლოებით, იგივე ხასიათის პრობლემა დგას, რაც განდისდროინდელ ინდოეთში. ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ცხოვრების მაგალითით ცდილობს ქართველ საზოგადოებას მიანიშნოს, რომ საჭიროა უკეთესები გავხდეთ, თუ გვინდა, რომ უკეთესი ხელისუფლება გვყავდეს.

მოსემ ორმოცი წელი ატარა ებრაელი ერი უდაბნოში.

ჩვენც გვაქვს გასავლელი ჩვენი ქართული უდაბნო, ამისთვის კი დიდი მოთმინება და სულიერი სიმტკიცეა საჭირო.

●

მე ვნახე ბიძინა ივანიშვილის შეცბუნებული სახე, როცა მას ვიღაცები სთხოვდნენ ფეხი დაედგა პლაკატისთვის, რომელზეც საკაშვილი იყო გამოსახული.

არ არის ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში იმისთვის მოსული, რომ ვიღაცას გადაუაროს, ვინმე გასრისოს, ვიღაცას ფეხი დაადგას.

— მე არ მოვდივარ ვინმეს დასამარცხებლად, მე ყველა ქართველის გასამარჯვებლად მოვდივარო, — თქვა მან თავის პირველსავე წერილში.

კარგად ჩავუღრმავდეთ ამ სიტყვების შინაარსს და ნუ ვაიძულებთ მას დაემსგავსოს მათ, რომლებიც ძალადობით და სისასტიკით ცდილობენ ქვეყნის დაშინებას და დამონებას.

ბიძინა ივანიშვილი ქართული სატიაგრაჰას ქართულ მოდელს ქმნის და ეს არის ერთადერთი საშუალება, რომ ქართველმა ერმა წარმატებით გადალახოს თავისი წილი ქართული უდაბნო.

„ს.გ.“ 2014

p.s. ეს წერილი მანამდე არის დაწერილი, სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდოდა, თუმცა მისი პოლიტიკიდან წასვლა სულაც არ არის იმით გამოწვეული, რომ მას პოლიტიკაში ხელი მოეცარა და პოლიტიკოსის მძიმე ტვირთის ზიდვა გაუჭირდა.

მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც თვლიან, რომ ბიძინა ივანიშვილი უნიჭიერესი პოლიტიკოსია, რომელმაც ახალი პოლიტიკური კულტურა შექმნა ქართულ რეალობაში და პოლიტიკის ხელოვნება ცივილურ, ჰუმანურ საწყისებს მიუახლოვა.

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ!

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

ჩვენ საქმე გვაქვს დესტრუქციულ ძალებთან, რომელთა მიზანია ქაოსსა და დაძაბულობაში შეიყვანონ ქვეყანა, თუმცა გარწმუნებთ, რომ მათ ეს არ გამოუვათ!

გვესაუბრება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, პარლამენტარი ირაკლი ზარქუა.

– ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, კერძოდ, ნაციონალური მოძრაობისა და მისი „მარადმწვანე“ ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მოწოდებებს, რომ მოსახლეობა არ დაემორჩილოს სახელმწიფო სტრუქტურებს, არ გადაიხადოს ჯარიმები, მოემზადოს რევოლუციისთვის. ეს ხომ ფაქტობრივად სახელმწიფო გადატრიალების მოწოდებაა?

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიცაა პანდემიით გამოწვეული პრობლემები, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ის ვითარება, რაც წლების განმავლობაში გვქონდა ქვეყანაში. ეს არის უმუშევრობა, სიღარიბე, დასაქმების პრობლემა და ა.შ. ამას დაემატა საპარლამენტო არჩევნები, სახელმწიფომ ამ პანდემიის ჟამს, ღირსეულად გაართვა თავი იმიტომ, რომ ორ მილიონამდე ადამიანი გამოვიდა არჩევნებზე. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი ენდობოდნენ და ენდობიან სახელმწიფო სისტემას, იგივე საარჩევნო სისტემას, ზოგადად ხელისუფლებას, მთავრობას და შედეგად ის მი-

ვიდეთ, რომ უმრავლესობაში კვლავ „ქართული ოცნება“ დარჩა. თან ისე დარჩა, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა, მათ შორის ჩვენი პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები, ათასობით დამკვირვებელი ერთხმად აღნიშნავდნენ, დიახ იყო ხარვეზი, იყო გარკვეული გამოწვევები, თუმცა არჩევანის გაკეთების ფუნდამენტური უფლება დაცულიაო. ეს არის მნიშვნელოვანი. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, ხელისუფლებას ვგულისხმობ, და კიდევ კარგა ხანს ვერ გვექნება, რომ წმინდა დემოკრატიული პროცესებისა და ღირებულებების უბადლო დამცველები ვართ, არა. ეს მთელი მსოფლიოსთვისაა გამოწვევა, თავად ნახეთ, დიდ დემოკრატიებში რამხელა პრობლემები შეიქმნა მათ შორის არჩევნებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ჩვენს შემთხვევაში კი, ავად თუ კარგად, ბევრ ევროპულ სახელმწიფოს ვაჯობებთ იმ საერთაშორისო გამოკვლევებში დემოკრატიის თუ მედიაპლურალიზმის მიმართულებით.

რაც შეეხება რადიკალურ ე.წ. ოპოზიციას ნაცმოძრაობის სახით, ჩვენ მარტო ბოლო არჩევნების წინ კი არა, მთელი ამ წლების განმავლობაში ვამბობდით, რომ კონსტრუქციულ ოპოზიციასთან კი არ გვაქვს შეხება და საუბარი, არამედ დესტრუქციულ ძალასთან, რომლის ამოცანა, მიზანია, რომ ქაოსსა და დაძაბულობაში შეიყვანოს ქვეყანა. იყოს არეულობა და თავიანთი ჭკუით გონიათ, რომ სწორედ ამგვარი მეთოდებით შეძლებენ ხელისუფლებაში მოსვლას. ეს არის მათი ხელწერა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ მნიშვნელობა არ აქვს არჩევნები როგორ ჩატარდება, მათი ამოსავალი წერტილია, უამრავი საჩივარი დაიწეროს, რომ სტატისტიკა ასე ვთქვათ, გაამუქონ. შემდეგ ეს გადააგზავნონ საერთაშორისო ორგანიზაციებში და შექმნან განცდა, რომ ქვეყანაში მოხდა არჩევნების მასობრივი გაყალბება, სისტემური გაყალბება, ეს არის მთავარი პრობლემა, საფუძველი, რომ დაუმორჩილებლობა და რევოლუცია მოხდეს. ეს როცა არ გაუვიდათ, იმიტომ, რომ ვნახეთ ის საჩივრები, რომლებიც სასამართლომ განიხილა, სხვა „გეგმაზე“ გადავიდნენ. ჩვენ გავხსენით 39 უბანი, სადაც მეტნაკლებად იყო ეჭვები, აღმოჩნდა, რომ იყო უმნიშვნელო დარღვევები. უფრო მეტიც, მაგალითად 73-ე უბანზე (საბურთალო) ელისაშვილის პარტიის 38 ხმა მიწერილი ჰქონდა ევრონაცებს, ბოკერია და ამ მწვალებლების გუნდს. აი, ასეთი დარღვევები იყო, რაც არამხოლოდ ჩვენ, მთელმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს და თქვეს, რომ ის გარკვეული ხარვეზები თუ დისბალანსი გავლენას ვერ ჰპოვებდა საბოლოო შედეგზე. აღნიშნეს, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლება არჩევანის გაკეთების, პოზიციის დაფიქსირების დაცული იყო. ასე რომ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება შემდეგ ეტაპს, როცა უკვე მიხვდნენ რადიკალი ოპოზიციონერები ხელმოცარულები რომ დარჩნენ, როცა მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების ელჩებიც ეუბნებიან, რომ საფუძველი არ გაქვთ რევოლუციის და არც მხარდაჭერის, შედით პარლამენტში, თქვენი ამომრჩევლის ხმა იქ გააჟღერეთო, ეს უკვე მიუღებელია რადიკალური ოპოზიციისთვის. უფრო მეტიც, მათ შექმნეს ისეთი ვითარება, სადაც პატარა პარტიებიც აიყოლიეს. პირადად ჩემი აზრით, ამ პატარა პარტიების ჩართულობა არის ქართული პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღება. ამიტომაც ვგულშემატკივრობთ მათ პირადად მე და მთელი გუნდი. შეუძლებელია, ერთი და იგივე სახე იყოს პოლიტიკაში 30 წლის განმავლობაში, შეუძლებელია, მუდმივად ვუყურებდეთ ბურჯანაძეებს, სააკაშვილებს, ბოკერიებს. ბოლო-ბოლო ვანის მაჟორიტარი რომ იყო ნაცმოძრაობიდან და გოგორიშვილი, ყველა მოწვევის პარლამენტში იყვნენ. შეუძლებელია, ბობოხიძეს ვუყუროთ მთელი 30 წელი. ახლა მიდის პოლიტიკური ველის გაჯანსაღება. აი, ასეთი პატარა პარტიები პირადად ჩემთვის უფრო საინტერესოა, მათთან დებატი, დისკუსია ეკონომიკაზე, ჯანდაცვაზე უფრო საინტერესოა, ვიდრე სააკაშვილთან, იმიტომ, რომ დიდი უპირატესობა გვაქვს ამ უკანასკნელის ჯგუფთან მიმართებაში. ჩემთვისაც არ არის კომფორტული, რომ ამ სუსტთან მქონდეს ასე ვთქვათ, დებატი, რადგან მათი პოზიცია ვიცი. ნაციონალებს რაც გაუკეთებიათ, იგივეს „აწვებიან“, ეს კი ჩემთვის და ქვეყნისთვისაც არის მიუღებელი. იმიტომაცაღმოჩნდნენ პოლიტიკურ სანაგვეზე, ეს ფრონტიც წააგეს. წააგეს ადგილობრივ დამკვირვებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებმაც თქვეს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. თქვენ იცით, რომ „სამართლიანმა არჩევნებმა“, რომელზეც ნაციონალები თავიდან აპელირებდნენ, არჩევნები გაყალბდაო, თქვა, რომ გამოთვლისას შეგვეშალა, არასწორი იყო ჩვენი ფორმულაო, მერე ერთი ერთში დაემთხვა მათი მონაცემი ცესკოს მონაცემებს, ანუ აქაც ამოეწურათ „პრეტენზიის“ საფუძველი.

ახლა ის სახურავებზე რომ დარბის, ჩვენი უთვისტომო ყოფილი პრეზიდენტი, კიევის სახურავებზე მორბენალი რომ მოუწოდებს უკრაინიდან თავის ჯგუფს, ამ რაღაც სექტას დაუმორჩილებლობისკენ, ალტერნატიული პარლამენტიო და რაღაც... ეს „კინო“ ხომ უკვე ნანახი გვაქვს?! აშშ-ის სახელმწიფო მდივანი პომპეო რომ ჩამოვიდა, ეს ხომ პირდაპირ უთხრა ამათ, ახლა ამის დრო არ გაქვთ, შედით პარლამენტში და იმუშავეთო. სახელმწიფო მდივანმა გარკვევით უთხრა, ელჩებიც ამას ეუბნებიან.ე.ი. რა გამოდის, ერთადერთი რუსულ სცენარში წერია, რომ კავკასიის ამ რეგიონშიც იყოს ქაოსი, დაძაბულობა და რუსეთმა კიდევ უფრო მეტად მოითბოს ხელი სააკაშვილის მეშვეობით. აი, ეს არის რუსეთის სცენარი, მაგრამ მწამს და მჯერა, რომ ეს არ გამოუვათ, იმიტომ, რომ დასაყრდენი არ აქვთ. ვინ თქვა, რომ ქვეყანაში პრობლემები არ არის? ვინ თქვა რომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელი ყველა იდეალურია რეგიონებში? მე გაცილებით მეტი ვიცი, ყველას მივაგნებთ, როგორც ახლა ხდება. როცა

დღე არ გავა ვიღაც არ დაიჭირონ, ან სამსახურიდან არ გაათავისუფლონ.

ეს ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ნორმაა, რომ არის სახელმწიფო, არის გამოწვევები და არის სახელმწიფო ინსტიტუციები, რომლებიც ებრძვიან ამას. ვერ დამისახელებენ ვერცერთ სახელმწიფოს, სადაც ანალოგიური გამოწვევა არ იყოს. ევროპაში კორუფცია, ადამიანის უფლებების დარღვევა არის, მაგრამ მთავარია, სისტემა იყოს ჯანმრთელი, სისტემა, რომელიც ამას ებრძვის და ჩვენ ამის არაერთი მაგალითი გვაქვს.

– ბატონო ირაკლი, უკვე ფრთიან გამინათქვამად იქცა თქვენი ნიკა მელიასადმი მიმართვა, გადაიხადე, შენთვისვე აჯობებსო. აქ მარტო გირაოს თანხის გადახდაზე-არ გადახდაზე ხომ არ არის საუბარი. მელიას მხრიდან გადაუხდელობა ხომ შექმნის პრეცენდენტს, რომ სხვამაც იგივე გაიმეოროს, არ დაემორჩილები პოლიციას, სასამართლოს გადაწყვეტილებასო?

– ნიკა მელიას, მე მას კიდევ ერთხელ გულით, ალალად და არა ნიშნის მოგებით მოვუწოდებ თქვენი გაზეთის მეშვეობითაც, რომ ეკუთვნის და უნდა გადაიხადოს. მაშინაც ასე ვუთხარი, უნდა გადაიხადო, იმიტომ, რომ რიგითმა მოქალაქეებმა, რომელსაც შენსავით შეუფარდეს გირაოს, გადაიხადეს და შენ რითი ხარ მათგან განსხვავებული?! უფრო მეტიც, ახლა რომ გამოდიხარ და ამბობ, არ დავუჯერებ სასამართლოს, არ დადავიხდიო, ის პირველი 30.000 ლარი ხომ გადაიხადე? მაშინ ეს ორმაგი სტანდარტი რას ნიშნავს? მას რა ჰგონია, რევოლუციისკენ თუ მოუწოდებ და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ თუ წახვალ მაგარი ბიჭობა, გმირობა? ნაცი და გმირი არ გაიშვას, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია. მე მელიას კიდევ ერთხელ გულშემატკივრის პოზიციიდან ვეტყვი, როგორც ახალგაზრდა პოლიტიკოსი ახალგაზრდას, რომ მის ინტერესშია, მივიდეს, გადაიხადოს და თუ შემდეგ გამართლდება, პირველი მე ვიქნები ვინც მიულოცავს, თუმცა ყველამ ვნახეთ საჯაროდ მისი მოწოდებები. 20 ივნისის შტურმის დროს, როგორ ცდილობდა ის მუხტი, პარლამენტის შიგნით გადაეტანა და ამგვარად, რევოლუცია მოეწყო. ამის მცდელობა ჰქონდათ, ჩვენ ეს ხომ ვნახეთ პირდაპირ ეთერში. ან ის რა ვაჟკაცობაა, გულანთებული ახალგაზრდების პროტესტის სათავისოდ გამოყენება რომ უნდოდათ?! იმ ადამიანებს შორის, რომლებიც თავიდან გულწრფელად აღშფოთებულები რომ მივიდნენ პარლამენტთან და გააპროტესტეს, ჩემი ოჯახის წევრები და ახლობლებიც იყვნენ, მაგრამ როცა ნახეს, ნაცმოძრაობა მოექცა სათავეში ამ მუხტს, რომ ეს გულწრფელი პროტესტი შემდეგ თავიანთი მერკანტილური ინტერესების დასაცავად გამოეყენებინათ, განერიდნენ და იქ დარჩა რაღაც ჯგუფი, რომელიც აგრესიულად იყო განწყობილი პოლიციის მიმართ, რაც ასევე საკუთარი თვალით ვნახეთ. ამის შემდეგ გირაოს რომ შეგიფარდებენ, რაც გადაიხადე, შემდეგ უკვე სამაჯური რომ მოიხსენი, რაც კანონმდებლობით არის დადგენილი. გირაოს შეფარდებაც კანონმდებლოთაა დადგენილი და არა ზარქუას, ან თალაკვაძის სურვილებით, ამ კანონის შესაბამისად განესაზღვრა ბატონ მელიას დამატებითი გადასახადი 40.000 ლარი და უნდა გადაიხადოს. მას მოვუწოდებ, გადაიხადე და თუ გაქვს შნო და უნარი, ჩაუდექი შენს პოლიტიკურ ორგანიზაციას და მოაწყვე აქცია, ოღონდ ეს პროტესტი უნდა იყოს იმ სამართლებრივ ჩარჩოში, რაც დადგენილი აქვს სახელმწიფოს, იმას როგორც კი გასცდებიან, არ აქვს მნიშვნელობა ზარქუა იქნება თუ მელია, პასუხს აგებს კანონის წინაშე. ეს არის და ეს.

– საარჩევნო ბარიერი ცხრა პარტიამ გადალახა, „ქართულმა ოცნებამ“ და რვა დანარჩენმა, რომელთაგან ყველა მმართველი პარტიის მოწინააღმდეგეა. როგორ დავიჯეროთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ელისაშვილის პარტია, „გირჩი“ და სხვა ამდაგვარი უფრო მოწონს და ენდობა, ვიდრე ეროვნულ პლატ-



5 გვ.

„საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში“

„ქართულო ოცნებავ“, პარლამენტში ნუ ეპატიჟები პარტიას, რომელიც ხალხს ცოცხებით აუპატიურებდა

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, კვლავ აქტუალური თემაა შევა თუ არა ოპოზიცია პარლამენტში. „ქართული ოცნება“ დამნაშავე რეჟიმს წარმომადგენლობით ორგანოში ეპატიჟება. როგორია, ამ საკითხზე, თქვენი მოსაზრება?

— სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში არეულობა, უზნეობა სუფევს. მთელი უბედურება ისაა, რომ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა წარმომადგენლები მავანს ანგარიშს უწევენ, კერძოდ, ამერიკელ თუ ევროპელ პოლიტიკოსებს და „ნაცმოძრაობას“ საკადრის პასუხს არ სცემენ. მაშინ, როცა უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანას, სამშობლოს უნდა ვიცავდეთ, ამის ნაცვლად ძალიან უსუსურნი ვჩანვართ. ჩვენგან განსხვავებით, სომხებიც და აზერბაიჯანელებიც უკეთეს ვითარებაში არიან. ისინი არც ევროპელებს ებრძვიან, არც ამერიკელებს, არც რუსებს და მათ სამშობლოს არაფერი ემუქრება. მთავარი ერთი რამ არის: დღეს, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაითვალისწინოს, რომ მათ, ბიძინა ივანიშვილის სახით, ძალიან დიდი მფარველი ჰყავდათ, რომელიც პარტიის ფარი და ხმალი იყო. დიახ, იგი ფარივით იცავდა არამარტო „ქართულ ოცნებას“, არამედ სამშობლოს. ბიძინა ივანიშვილი რომ არა, ეს ნაძირალა „ნაცები“ მეორედ და მესამედ მობრძანდებოდნენ ხელისუფლებაში. დიახ, ივანიშვილი რომ არა, სააკაშვილის ხელისუფლებიდან განდევნას ვერავინ შეძლებდა და მმართველ პარტიას არჩევნების მოგებაც გაუჭირდებოდა, მათ შორის, ამ უკანასკნელისაც. ბიძინა ივანიშვილი გახლავთ უდიდესი ეროვნული, პატრიოტი ადამიანი, რომლის ბადალი და მსგავსი როგორც ქველმოქმედისა, არ არსებობს. ასევე, დიდი წვლილი შეიტანა მან ქართული პოლიტიკური ცხოვრების დასტაბილურებაში. დღეს, პოლიტიკოსობა იცი რა ჰგონიათ? — პარლამენტში რომ შევლენ და სკამს კარგად მოირგებენ. საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად იბრძვიან და არა ქვეყნის. ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში და საკუთარ ქვეყანას 3 მილიარდი დაახარჯა. მოვიდა და ერს მოაშორა მტარვალი სააკაშვილი. ეს იყო მისი მიზანი — საქართველოს გადარჩენა. აი, რა არის პოლიტიკა და არა ის ახალგაზრდები ამერიკაში რომ მიდიან, უკან ბრუნდებიან და დიდად განათლებულნი ჰგონიათ თავი, არადა, აცრილები არიან, მათ სამშობლო არ უყვართ, საქართველოს ხსენებაც არ უნდათ. ესაა უბედურება. რასაც დღეს „ქართული ოცნება“ აკეთებს, ჩემთვის გაუგებარია — პარლამენტში შემოდითო იმათ ეხვეწებიან, ვინც წესით, უნდა დაიჭირონ. „ნაცებს“, „ევროპულ საქართველოს“ და სხვა მისთანებს პარლამენტში შესვლას კი არ უნდა ეხვეწებოდნენ, არამედ ყველანი ციხეში უნდა შეყარონ. თუ არ უნდათ მათი ციხეში ჩასმა, მაშინ ქვეყნიდან მიაბრძანონ. იმიტომ, რომ ეს ხალხი — „ნაცები“ და „ევროპული საქართველო“ ქართული სახელმწიფოს, ხალხის პირველი მტერია. მათი ამოშანთვა იოლი არ გახლავთ. ისინი როგორც მატლები ისე არიან გამჯდარი უნივერსიტეტებსა თუ სკოლებში, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში. სხვათა შორის, ეს მხარდამჭერები დუმან, მაგრამ არჩევნების დროს ხმას „ნაცებს“ აძლევენ. აი, ესაა მთელი უბედურება. მე, არ მგონია, ქართველი ერი ისე დაჩლუნგდა და გაბრიყვდა, რომ 27% „ნაცებს“ აძლევს ხმას. ეს წარმოუდგენელია. „ქართული ოცნება“ პარლამენტში ეპატიჟება პარტიას, რომელიც ხალხს ცოცხით აუპატიურებდა. თუ შენ, ეს გსიამოვნებს, წადი, ბატონო, სხვაგან. ჩვენ ნუ გვახვევენ თავს ამ ამაზრზენ პირებს. ვიცით, რომ ბოლო დროს ქართველი ხალხი, „ქართული ოცნების“ მომხრენი მათზე განაწყენებული იყვნენ. რატომ? — იმიტომ, რომ ივანიშვილმა კი განდევნა სააკაშვილი, მაგრამ იქვე, იძულებული გახდა, მას დაავალეს ამ პარტიასთან კოაბიტაციაში შესულიყო. ეს განდევნილნი, სოროში შემძვრალი „ნაცები“, უცებ, ასპარეზზე გამოვიდნენ და როგორც ჭირის დროს ვირთხები ამოძრავდებიან, ისე მოედნენ მთელ ქვეყანას. „საერთო გაზეთში“, რომელიც ერთ-ერთ ღირსეულ და ეროვნულ გაზეთად მიმაჩნია, სადაც ეროვნული პრობლემები აქტიურად შუქდება, გამოვაქვეყნე წერილი „სააკაშვილის საბოლოო განაჩენი!“ საქმე ის გახლავთ, რომ პარლამენტს დაევალა საქართველოს 2004–2012 წლების ვითარება შეესწავლა. ეს უნამუსო „ნაცები“ ადამიანებს სასტიკად აწამებდნენ. წარმოუდგენელია, დღეს როგორ ბედავენ სამართალსა და ზნეობაზე საუბარს. პარლამენტმა ვითარება შეისწავლა და დაასკვნა, რომ საქართველოში, იმხანად, ადამიანის წამება იყო გაბატონებული. წამების ფაქტებს სისტემური ხასიათი ჰქონდათ, რასაც მაღალი თანამდებობის პირები სჩადიოდნენ, რომლებიც გარკვეული ინტერესების გამო არაადამიანური წამებით აწამებდნენ ხალხს და მათ არამარტო ციხეში უშვებდნენ, არამედ ართმევდნენ პირად ქონებასაც. შედეგად, გამოჰყვეს სპეციალური კომისია, რომელმაც წამების ფაქტები შეისწავლა. პროკურატურაში 6 ათასი კაცი დაიკითხა. ისინი ისეთ ამბებს ჰყვებოდნენ, თავად პროკურორებს გული მისდიოდათ, თმა ყალყზე უდგებოდათ. ამის შემდეგ პარლამენტმა დაადგინა: ამის ჩამდენი პოლიტიკოსები, შეუძლებელია, კვლავ, თანამდებობებზე ვიხილოთო. აღნიშნული დადგენილება პროკურატურაში გაგზავნეს, თუმცა ეს კანონი არავის აღუსრულებია. რატომ არის დაკითხვის ოქმები დღემდე პროკურატურის თაროზე შემოდებული? რატომ ვერ ეცნობა ქართველი ხალხი იმ წამების ფაქტებს, რასაც „ნაცები“ სჩადიოდნენ? ამ ფაილებით კასრები ჰქონდათ სავსე. არცერთ უსასტიკეს ფაშისტსაც არ მოუვიდოდა თავში წამების ისეთი უკიდურესი ფორმები, რასაც ეს ნაძირლები აკეთებდნენ. გეკითხებით, „ნაცები“ და „ევროპული საქართველო“ შეიძლება ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკაში არსებობდნენ, პარლამენტში იყვნენ? მათ საკუთარ თავს თავად გამოუტანეს განაჩენი. ამ დროს, „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა თაობა ეხვეწება, ემუდარება, გინდათ თუ არა, პარლამენტში შემოდითო, რამეთუ ოპოზიციის გარეშე მართებულ გადაწყვეტილებებს ვერ მივიღებთო. ჯერ ერთი, მათ პარლამენტში წლების მანძილზე ვუყურებდით და რას აკეთებდნენ? — ქალი რომ პირში სასტვენს ჩაიდებს და უსტვენს, მისგან რას უნდა ელოდო. აქეთ, სხდომათა დარბაზში რაღაც ნივთიერება დაასხეს და იქაურობა მოწამლეს. ამ ხნის მანძილზე რაიმე სარგებლიანი წინადადება შემოიტანეს განსახილველად, რაც ჩვენს ქვეყანას წაადგებოდა? დღეს, იგივე გრძელდება. რატომ? — ევროპას უნდათ აჩვენონ, რომ ნამეტანი დემოკრატიულები ვართ. „ნაცები“ გაიძახიან: ერთპარტიული პარლამენტიაო. ასე არ არის. როცა სააკაშვილმა ითავხედა და გადატრიალება მოახდინა, ეს არ გახლდათ არც ვარდების და არც იების რევოლუცია, არამედ მორფინისტები შემოყარა, სახელმწიფო დაამხო არაკანონიერი გზით, მაშინ პარლამენტში ექვსი პარტია შევიდა. დღეს, ცხრა პარტიაა. თუ უარს ამბობენ შესვლაზე, რაღას ეხვეწები? ჩამოვთვალოთ ვინ არიან ამ პარტიების წევრები: ბოკერია, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს. ასევე, უგულავა, რომელიც ორჯერ დაიჭირეს და გამოუშვეს. იგი ამორალური, უზნეო კაცია და ისიც ციხეში უნდა იყოს. გინდათ, ქალბატონები ავიღოთ — ხოშტარია კაგებეს სკოლაგამოვლილი, ბოკუჩავა, სამადაშვილი, ამათ რა უნდათ პარლამენტში. მათი ლაქლაქის მოსმენით შეიძლება ქვეყნის მართვა?

— საზოგადოება მუდმივად ისმენს მათ „მჭერმეტყველებას“.

— მერე, ეს ვისი ბრალია? ყოველ წუთას რომ გამოჰყავთ ტელე-ეთერში, მათ შორის, ქვეყნის სადარაჯოზე მდგომ ტელევიზიებსაც, რისთვის ალაქლაქებენ ამ ხალხს?! როგორ შეიძლება გოგორიშვილი, რომელიც უპირველესი გამყალბებელია, 2020 წლის არჩევნების გაყალბებაზე ლაპარაკობდეს. ანდაც, კიდევ, თარხნიშვილი, ეს ბუნების შეცდომა. მათ ტომრებით მიჰქონდათ გაყალბებული ბიულეტენები. აი, ესენი გვმოძღვრავენ ახლა ტელე-ეთერებიდან. ზოგადად, დღევანდელ მედიას თუ ვინმემ არ მიხედა, დავიღუპებით. ისეთი უსინდისობა რაც „მთავარზე“, „ტვ-პირველზე“ ხდება, ვინმე ძნელად თუ წარმოიდგენს. კი ბატონო, ილიაც ამბობდა: მედიამ რაც ცუდია, ნაკლია უნდა ამოქექოს, მაგრამ ესენი რას ქექავენ? — ბოდიში მომითხოვია და ესენი საკუთარ განავალში იქექებიან. სხვა არაფერი აინტერესებთ — რა ან რისთვის გაკეთდა. გვარამიაზე ამბობენ: საზოგადო მოღვაწის სახელი მივანიჭოთო. ეს სასაცილოც აღარ არის. გვარამიას თეთრი ხალათი უნდა ჩააცვა და პირდაპირ საგიჟეთში გაუშვა. იქ, იყვიროს მერე პირველი კაცი ვარ, ქვეყნის გამგებელი, სტალინი ვარო.

— ხელისუფლებას რა შეუძლია გააკეთოს ვითარების გამოსასწორებლად?

— პრინციპულად მოვითხოვ: ამ ახალგაზრდა ხელისუფლებამ ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს. დიდ პატივს ვცემ ირაკლი კობახიძეს — ნიჭიერი კაცია და პრინციპულიც. ამიტომ, როდესაც იტყვის: გვაქვს საფუძველი „ნაციონალებს“ პარლამენტში მოღვაწეობა ავუკრძალოთო, სიტყვა ბოლომდე უნდა შეასრულოს. ამათ რა ქნეს? ხვეწნა დაუწყეს პარლამენტში შემოდითო და კანონიც კი დაარღვიეს — „ნაცები“ ითხოვენ მანდატები გაგვიუქმეთო, „ქართული ოცნება“ არ უუქმებს და კიდევ დროს აძლევს. მახსოვს ერთ აფერისტს ასამართლებდნენ. მან თქვა: ძალიან გავხდი, სუსტად ვარო. ერთმა მოხუცმა მოსამართლეს დაუძახა: გაასუქეთ, გაასუქეთ, რომ თავიდან დაგვერიოსო. რისთვის უნდა მისცენ „ნაცებს“ და „ევროპულ საქართველოს“ ფული — ქართული ცნობიერება რომ მოსპონ? მელია იმუქრება: გირაოს არ გადავიხდი და ვერც

დამიჭერთო. ვინ არის მელია-კუდაგრძელია? ორი წიგნი არ აქვს ზედიზედ წაკითხული. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დაიჭირეს და ეგ ვინ მიგდია?! ზვიადი და მერაბი ქართული ცნობიერების მშვენებანი, ზნეობის და თავდადების მაგალითები იყვნენ. თუ ვინმეს მამული და სამშობლო უყვარდა, ეს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია გახლდათ. ახლა, გამოდის გვარამია, ალბათ, დაგვცინის და ამბობს: ჩვენი ბრალი ის არის, რომ პატრიოტიზმი დავკარგეთო და დესამშობლოიზაციაზე გვესაუბრება. როდის ჰქონდათ მათ პატრიოტიზმი ან რა გაეგება გვარამიას სამშობლოს ცნების?! გონებაწაშლილი სააკაშვილი კიდევ უკრაინიდან გაიძახის: ხომ იცით, როგორ მიყვარს სამშობლოო. ეს არის სამშობლოს სიყვარული? — თავის გუნდის წევრებს ეჩხუბება: თქვენ გაიმარჯვეთ, იბრძოლეთ და მე, მერე ჩამოვალო. ყველაზე უფრო ცუდი რაც დღეს ხდება არის ის, რომ კოაბიტაცია დღესაც გრძელდება. გახარიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ გაიძახის: ევროპულ სახელმწიფოს ვაშენებო. რას ნიშნავს ევროპული სახელმწიფო, რა ცნებაა? ევროპულ „შტეფსელზე“ ამბობენ, კარგიაო. რას ჰქვია ევროპული სახელმწიფო? შენ, ქართული სახელმწიფო უნდა ააშენო. ევროპაში თუ არის რამე სასიკეთო, კი ბატონო, გავიზიაროთ. სამწუხაროდ, იქ, ძალიან ცოტა რამ არის საჩვენოდ სასარგებლო.

„ქართული ოცნება“ თუ მარჯვედ არ მოიქცევა და ყველას თავის სახელს არ დაარქმევს, ხალხი აბობოქრდება. იმიტომ, რომ ქართველ ხალხს ერთი მეტად საგულისხმო თვისება აქვს: დუმს, ითმენს, ითმენს, მაგრამ თუ აფეთქდა, მერე, ვერაფერი გააჩერებს. ჭეშმარიტმა ქართულმა საზოგადოებამ რომელიც ნორმალურად აზროვნებს, არ მგონია „ნაცებს“ დაუჭიროს მხარი. მელიამ ახალგაზრდები მიიყვანა პარტიაში, რომლებიც ნაცობას იბრალებენ, ეს, უკვე, ცუდის ნიშანია. საქართველოში, პირველმა, ლომაიამ დაიწყო განათლების სისტემის მოსპობა. მისი ბარტყები უმაღლეს სასწავლებლებში დღესაც ბოგინობენ. მთავარი ის არის, რომ სამშობლოს ცნება აღარ ესმით. ამბობენ: სადაც კარგად ვარ, ჩემი სამშობლო ის არისო. „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი“ — დღეს ამ ლექსს აღარავინ ასწავლის. ჩვენ, ეს ბავშვობიდან გვქონდა შთაგონებული. აქედან გამომდინარეა, რომ ეს ახალგაზრდები, რომლებიც „ილიაუნში“ და მსგავს სასწავლებლებში სწავლობენ, მრუდედ აზროვნებენ. იქ, სამშობლოს ცნება უარყოფილია. ეს ხომ სოროსის დაწესებულებაა. ეს გათახსირებული სოროსი, რომელიც ყველა ნორმალური ქვეყნიდან განდევნეს, მაინცდამაინც საქართველოში ჰყვავის. სოროსმა ფერადი რევოლუცია მოგვიწყო. მახსოვს, ერთ მხარეს სააკაშვილი ეჯდა, მეორე მხარეს — ჟვანია და მათ მოძღვრავდა: როგორც კი უჭკუოდ მოიქცევით, მაშინვე მოგივლითო. აი, ეს არის ჩვენი რეალობა და მოდით, ნუ დავხუჭავთ თვალს. არსებობს ადამიანის განადგურების ორი ფორმა. ახალ აღთქმაში წერია: ნუ გეშინის იმისა, ვინც შენ ფიზიკურად განადგურებს, რამეთუ, ეს აღდგენას ექვემდებარება, არამედ გეშინოდეს იმისა, ვინც ფიზიკურად კი არა, სულიერად განადგურებს. სული თუ მოკვდება, ქართველი ერი ვეღარ აღდგება.

ახლა, იძახიან: მე, ევროპელი ვარო. ჩვენ ევროპელები კი არა, არამედ კავკასიელები ვართ. კავკასიას დიდი ტრადიციები აქვს, რისი დანგრევაც გაუჭირდებათ. ამის გაკეთება მაგალითად, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან მართლა უჭირთ, ჩვენთან კი — არა იმიტომ, რომ ნელ-ნელა ქართულ ცნობიერებას გვიშლიან — დაიწყეს პასპორტიდან მამის სახელის, ეროვნების ამოღებით. ტრადიციას სპობენ, რათა შვილს მამა აღარ უყვარდეს. ოჯახის სიძლიერე ნიშნავს იმას, რომ იქ, ქართველი კაცი იზრდება, რაც არ აწყობთ.

ამერიკასაც, რუსეთსაც, საქართველოს ტერიტორია აინტერესებთ და არა ქართველი ხალხი. ქართველი ხალხი უნდა აინტერესებდეს თავად ქართველს, საქართველოს პრეზიდენტს. სამწუხაროდ, სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად იმიტომ აღიარეს, რომ როცა ეტყოდნენ: ერთი კაცი მოკალიო, სამს კლავდა. ის ქვეყანა, სამყარო რომელიც სააკაშვილს დემოკრატიის შუქურად აღიარებს, ვერ დამარწმუნებთ, რომ დემოკრატიის სამშობლოა და საფუძველი იქედან მოდის.

— საუბრის დასაწყისში ახსენეთ: ივანიშვილი პარტიის ფარი და ხმალი იყოო. უფაროდ დარჩენილი „ქართული ოცნებისგან“ რას უნდა ველოდოთ და რა მოსაზრება გაქვთ: რატომ წავიდა ივანიშვილი?

— მან თავიდანვე განაცხადა: მივაღწევ გარკვეულ მიზანს — გავათავისუფლებ ჩემს სამშობლოს და მერე, პოლიტიკიდან წავალო. ივანიშვილის მოსვლამდე ვინმე იღებდა ხმას იმაზე, რაც საქართველოში სააკაშვილის დროს ხდებოდა? ივანიშვილმა ზედმეტი დემოკრატიულობა გამოიჩინა, ყველას მისცა აზრის გამოხატვის უფლება. შედეგად, ქართველები ნახირივით გამოცვივდნენ და ბატონი ბიძინას გაკრიტიკება დაიწყეს. ეს არის ზედმეტი ლმობიერება და თავისუფლება. ივანიშვილს მობეზრდა შინაური თუ გარეული კაცისგან ამდენი უმადურობა. ხალხი უმადურია, სიკეთეს ვერ ხედავს. სირცხვილია და მეტი არაფერი. დაიღალა კაცი, გააკეთა სიკეთე და ახლა, უთხრა თავის გუნდს: მიხედეთ ქვეყანასო. ვნახოთ, „ქართული ოცნება“ რას გააკეთებს. ივანიშვილს წამოსცდა: სამომავლოდ, „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში გადაინაცვლებს და ახალი ძალა მოვაო. თანახმა ვარ, ხელისუფლებაში ისეთი ხალხი მოვიდეს, ვისაც სამშობლო უყვარს. მე, 83 წლის ვარ, პარლამენტში ქუდი რომ შემიგდო არ შევალ, მაგრამ ვიბრძოლებ, რათა ისეთი გუნდი მოვიდეს, რომელსაც ქართველი ხალხი, საქართველო ეყვარება, ქვეყნისა და ერის სიკეთისთვის იბრძოლებს და არა საკუთარი თავის გამდიდრებისთვის. სწორედ ასე იბრძოდა ბიძინა ივანიშვილი. მუხრან მაჭავარიანს აქვს ლექსი — საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში. ამ სათაურით წიგნი მაქვს გამოშვებული, სადაც აღვწერე თუ რა ხდება დღეს საქართველოში. მანამდე, 2010 წელს გამოვეცი წიგნი — ვახმე, ჩემო სამშობლო. აქ, მიწერია ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება. ესაა მთელი უბედურება. დიდი ფილოსოფია არ უნდა იმას, რომ თუ არ გამოვფხიზლდით უარესი მოგველის. თუ ერი გადაგვარდა, ჩვენ აღარ ვიარსებებთ. ადამიანს ერთ ხელზე ხუთი თითი აქვს. თითს რომ მოაჭრი, იფართხალებს, მაგრამ თუ ხელს მოაჭრი, კვდება. ასეა ყველა ნორმალური ქართველი — მოკვდება თუ ერის ფესვებთან კავშირი არ ექნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჩვენ საქმე გვაქვს დესტრუქციულ ძალებთან...

3 გვ.

ფორმაზე მყოფი პატარა პარტიები?

- ერთ კორექტირებას შევიტან, ცხრა პოლიტიკური სუბიექტი შემოვიდა პარლამენტში, ხოლო პარტია 14, იმიტომ, რომ „ძალა ერთობაში სხვადასხვა პარტიები იყვნენ გაერთიანებული. პარლამენტში არასდროს ყოფილა ასეთი მრავალფეროვნება. რაც შეეხება კონკრეტულ ვითარებას, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ ძალიან ვგულშემატკივრობთ ამ პატარა-პატარა პარტიებს, რადგან მათ ხვალ-ზეგ პოლიტიკური ცხოვრება უნდა შექმნან ქვეყანაში. ეს ის პარტიებია, რომლებიც მმართველი პარტიის, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდა და ისევე როგორც მწვალებელთა პარტია ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ საზოგადოების ნაწილმა ხმა იმ პატარა პარტიებს მისცა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხმას ან „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, ან ნაცმოძრაობას. ამიტომ ვამბობ, რომ მათი ინტერესია პარლამენტში შემოვიდნენ, აქ გაახმოვანონ თავისი პოზიცია, ნუ იქნებიან ვინმეს მძევლები. ნაცმოძრაობის ინტერესშია არ დაიწიოს ბარიერმა, ისევ 5% დარჩეს, რადგან იციან, რომ ამ ბარიერს გადამლახავი მხოლოდ ორი პარტია, „ქართული ოცნება“ და თვითონ არიან. ნაცმოძრაობას უნდა ეს პატარა პარტიები ისევ თავის ორბიტაზე შემოიკრიბოს, როგორც ახლა აქვთ მცდელობა და შემდეგ აკონტროლონ. ამ პატარა პარტიებს ვეუბნები, რომ შეეშვან ამათ, ვინც ნაცმოძრაობისა და ბოკერიას მხრიდან ბულინგსა და მძევლობას თავს დააღწევს, დარწმუნებული ვარ ამომრჩეველი ადგილობრივ არჩევნებზე ისევ გვერდში დაუდგება და ხმას მისცემს.

— ძალიან კარგია, რომ დავით გარეჯის და ამ მონაკვეთზე საზღვრის თემა ასე ფართო განსჯის საგანი გახდა, მაგრამ რა დააშავა სამაჩაბლომ, კოდორის ხეობამ, რომელიც ნაცებმა ლანგრით მიართვეს რუსეთს. ვითომ ნაკლებ მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიების დაკარგვა, რომ ამაზე არავინ საუბრობს? ნუთუ სააკაშვილს პიჯაკების შეძენის და ცხრა მილიონის მოპარვის მეტი სხვა დანაშაული არ მიუძღვის ქვეყნის წინაშე?

- სააკაშვილი ჩვენი კანონმდებლობით არაერთ საქმეზეა გასამართლებული, ეს არის გირგვლიანის მკვლელობის თემა, სადაც საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ სისტემა ისე იყო მოწყობილი, ერთმანეთს გვერდში ედგნენ, ანუ სისტემური დანაშაული დაუდგინდათ, რომელსაც მეთაურობდა ბატონი სააკაშვილი. ცალკეულ სხვა საქმეებზეც, იგივე დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე იგი ბრალდებულად არის ცნობილი, ასევე მთელ რიგ კორუფციულ სქემებში. რამდენიმე თემა დღესაც გრძელდება, ჯერ ბოლომდე არ არის მიყვანილი, იმიტომ, რომ ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფო ვართ, სადაც კონკრეტული პიროვნებამ, არ აქვს აქვს მნიშვნელობა ის პოტენციურად დამნაშავეა თუ არა, ჩვენება უნდა მისცეს. ამის საფუძველზე გამოგვაქვს განაჩენი, თუმცა იცით, რომ სააკაშვილი თავს არიდებს დაკითხვას. რაც შეეხება კოდორის ხეობას, რომელსაც ნაციონალებმა ზემო აფხაზეთი დაარქვეს, ვიცით რომ ოკუპირებულია, ისევე როგორც სამაჩაბლო და მთლიანად აფხაზეთი. დიახ, ეს ტერიტორიები ოკუპირებულია და ამაზე მიდის სამართლებრივი დავა ოკუპანტ სახელმწიფოსთან. რაც შეეხება დავით გარეჯის თემას, ჩემს მოკრძალებულ პოზიციას გეტყვით, რაც არ უნდა პრეტენზიები მქონდეს სააკაშვილის და მისი მთავრობის მიმართ, მე მგონია, ეს ის თემაა, სადაც ჩვენ უფლება უნდა მივცეთ იმ პროფესიონალებს, ვისაც აქვს მეტი ინფორმაცია, რომ ეს თემა გამოიძიონ და ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოსთან ერთად ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღონ. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი, გარეჯი იყო, არის და მომავალშიც იქნება საქართველო, ამით ამ თემას ამოვწურავ, მეტად არ შევეხები.

– თქვენ ძალიან საინტერესო შენიშვნა გქონდათ ეკონომიკის მინისტრ თურნავასთან ავტოტრანსპორტის ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით, ხშირად გაქვთ ხოლმე ასეთი დებატები მთავრობის წარმომადგენლებთან?

- ზოგადად გეტყვით, რომ ჩვენ პარლამენტში ვართ ის გუნდი, რომელსაც, შიგნით გვაქვს საკმაოდ მწვავე დებატები, მათ შორის მინისტრებთან, ეს ჯანსაღი პროცესია. დებატები გვაქვს ბიუჯეტის ხარჯებთან, ეკონომიკურ ზრდასთან, პრივატიზაციასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ტყის კოდექსთან გვაქვს ჩვენი შენიშვნები და მიდგომები, ავტომობილების ტექნიკურ ინსპექტირებასთანაც, იმიტომ, რომ არის კანონები რომლებიც აღსრულებადი არ არის. ეს არის მთავარი პრობლემა და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ზუსტად ამ მეათე მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კოდექსი, ყველა კანონი იყოს აღსრულებადი. ჩვენს საზოგადოებასთან ერთად, ჩვენ ამას მივაღწევთ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

დემოკრატია – განსასჯელის სკამზე

თუ დემოკრატიაა ის, რომ, როცა შენს სახელმწიფოს ანგრევენ არამზადები, შენ კი იძულებული ხარ, გულხელდაკრეფილმა უყურო, მაშინ ცუდი ყოფილა დემოკრატია

თუ დემოკრატიაა ის, რომ, როცა შენი სახელმწიფოს წინააღმდეგ პირდაპირ ღია ეთერში აწყობენ შეთქმულებას და მისი დამხობის გეგმებს ერთმანეთში აზუსტებენ, შენ კი, დემოკრატიის ბორკილებით ხელებშეკრულს, მოქმედების უფლება არ გაქვს, მაშინ ძალიან ცუდი რამ ყოფილა ეს დემოკრატია;

თუ დემოკრატიაა ის, რომ არ დაემორჩილო კანონებს, პატივი არ სცე სასამართლოს, აბუჩად აიგდო სამართალდამცავი სტრუქტურები და აკეთო ის, რაც მოგეპრიანება, მაშინ ძალიან, ძალიან ცუდი ყოფილა დემოკრატია.

თუმცა, სანამ დემოკრატიას დავადანაშაულებდეთ და ყველაფერს მას დავაბრალებდეთ, იქნებ, იმაზე დავფიქრდეთ, სწორად გვესმის კი ჩვენ თვითონ დემოკრატია?

იქნებ, დემოკრატია არაფერ შუაშია და ყველაფერი ჩვენი უპრინციპობის, არასახელმწიფოებრივი აზროვნების, პასუხისმგებლობისგან გაქცევის და კონფორმიზმის ბრალია და არა დემოკრატიის?

რატომ უნდა ებრძოლო და ეომო ვიღაცას, რატომ უნდა აიტკივო აუტკივარი თავი — ილაპარაკონ, რაც უნდათ, აკეთონ, რაც უნდათ, შენ კი იქნები მშვიდად, თბილად, ტკბილად და თუ რამე გაფუჭდება, ყველაფერს დემოკრატიას გადააბრალებ და გადააწერ.

ისედაც 30 წელია, ამ საწყალ დემოკრატიას ბრალდება ყველაფერი და რა მოხდა, ახლაც რაღაც-რაღაცებს თუ დავაბრალებთ?

ასე, მაგალითად, დემოკრატიას ბრალდება ის ამბავი, მიშა სააკაშვილი და ნიკუტა გვარამია სახელმწიფო გადატრიალების ნაირ-ნაირ სცენარებს რომ გამოფენენ ხოლმე ღია ეთერში და მოქალაქეებს დაუმორჩილებლობისკენ, სახელმწიფო ინსტიტუტების იგნორირებისკენ რომ მოუწოდებენ.

— რა ვქნათ, დემოკრატიაა, ბატონო და ადამიანებს სიტყვის თავისუფლებას და გამოხატვის თავისუფლებას ხომ ვერ შევუზღუდავთ? — ამბობენ ვიღაც-ვიღაცები, ამასობაში კი მორიგი მარცხისგან გაცოფებული სააკაშვილი ქვეყნის დამხობის ბრძანებებს ბრძანებებზე იძლევა კიევიდან და მისი უბადრუკი კლონები — მელიები, უდუმაშვილები, გვარამიები ამ ბრძანებების რეალობად ქცევისკენ მოუწოდებენ მოსახლეობას, ხელისუფლების მხრიდან კი ამ სახიფათო, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე რეაგირება კვლავ შემწყნარებლური და ლოიალურია.



მეცხრე წელია, ეს ამბავი სხვადასხვა ვარიაციებით და სხვადასხვა მასშტაბებით გრძელდება, ამასობაში კი „ნაცმოძრაობამ“ 27 პროცენტი მიიღო 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, რაც იმის დასტურია, რომ რაღაც ვერ არის წესრიგში ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში.

თუ შევთანხმდებით იმაში, რომ **„ნაცმოძრაობა“ არ არის ჩვეულებრივი პოლიტიკური პარტია, ის ფაშისტურ-კრიმინალური ორგანიზაციაა, ქართული კოზა ნოსტრაა, რომელსაც უამრავი შემზარავი დანაშაული აქვს ჩადენილი საქართველოს წინაშე** და როცა ამ ბოროტ ძალას ამომრჩეველთა 27%, ანუ ნახევარი მილიონი ადამიანი აძლევს ხმას, ეს ეროვნული მასშტაბის კატასტროფის ტოლფასია.

ისიც ხომ საგულისხმო ფაქტია, რომ „ნაცმოძრაობის“ და უშუალოდ სააკაშვილის და მისი უახლოესი გარემოცვის მიერ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ საზოგადოებისთვის ყველაფერი ცნობილია, ანუ ეს არ არის ის შემთხვევა, როცა რაღაც არ იცი და უნებლიეთ შეცდომას უშვებ არჩევანში, არა, ამ 500000 მოქალაქისთვის ყველაფერი ცნობილია და მაინც მკვლელებს, ყაჩაღებს, მოძალადეებს, ქვეყნის მოღალატეებს და გამყიდველებს უჭერს მხარს, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონაც ისეთივეა, როგორიც მისი რჩეულები არიან.

და როცა ნახევარი მილიონი ასეთი მოქალაქე ჰყავს ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორიც ქართველი ერია, არ არის ეს ეროვნული კატასტროფა?

არის, ნამდვილად არის!

კი, მაგრამ, ვინ არის ამაში დამნაშავე? დემოკრატია?

კი, კი, თქვენ წარმოიდგინეთ და ეს უბედურებაც დემოკრატიას ბრალდება.

— რა ვიღონოთ და როგორ მოვიქცეთ? დემოკრატიაა ქვეყანაში და „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერებს რა მოვუხერხოთ, როცა ნახევარი მილიონი მხარდამჭერი ჰყავთ? დემოკრატიის წმინდათაწმინდა კანონებს ხომ არ დავარღვევთ? — თავს იმართლებენ ვიღაც-ვიღაცები.

დემოკრატიული ღირებულებების უგულებელყოფას არავინ გთხოვთ, მაგრამ სად, რომელ დემოკრატიულ კანონში წერია, მკვლელებს, ყაჩაღებს, ბანდიტებს, მოძალადეებს პარტია შეუნარჩუნეთ, ნაძარცვი ქონება შეარჩინეთ, მოპარული მილიარდები შეარჩინეთ, ბიზნესები დაუტოვეთ, ტელევიზიები გაახსნევინეთ, ზოგიერთი თქვენთან გადმოაპორტირეთ და გვერდით მოისვითო?

— კრიმინალები არიან ესენი, ქვეყნის მტრები არიან, მაგრამ არა უშავს, ჩვენ ამათ არჩევნებში დავასრულებთო, — განაცხადა ერთი წლის წინათ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა და ტაში დაუკრეს — რა მაგარი კაცი ხარ, ეს რა მაგარი რაღაც თქვიო.

— კი, მაგრამ, თუ ქვეყნის მტრები და კრიმინალები არიან, ქვეყნის მტრები და კრიმინალები ციხეში უნდა იჯდნენ, თქვენ კიდევ ამათთან არჩევნებში აპირებთ ღლაბუცობასო? — არავინ დაუსვა ეს კითხვა ამ მაღალჩინოსანს, სხვათა შორის, ნიჭიერ და უნარიან კაცს, რომელმაც, როგორც ჩანს, მექანიკურად გაიმეორა მესიჯ-ბოქსად ჩამორიგებული ფრაზა და არც კი დაუკვირდა, რას ამბობდა!

თუ დემოკრატია უმრავლესობის ნების გამოხატულებაა, რატომ იქნა იგნორირებული თავის დროზე უმრავლესობის მოთხოვნა, შემდგარიყო ქართული ნიურნბერგის პროცესი და გასამართლებულიყო „ნაცმოძრაობა“, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი?



„ქართული ოცნება“ წლებია „ნაცმოძრაობასთან“ გამართულ დისკუსიებში და დებატებში „ნაცმოძრაობას“ მოიხსენიებს, როგორც კრიმინალურ ორგანიზაციას და უამრავ მძიმე ბრალდებას უყენებს მათ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ეს ბრალდებები ზეპირსიტყვიერებას არ სცილდება და სიტყვას საქმე არ მოსდევს.

არადა, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაა და ვალდებულია, ყველაფერი იღონოს, რომ დამნაშავე დაისაჯოს. მით უმეტეს, ვალდებულია, ეს გააკეთოს, როცა თვითონ აცხადებს, რომ ესა თუ ის პოლიტიკური ძალა თუ ცალკეული პოლიტიკური პერსონები დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი.

იმის ნაცვლად, რომ ეს დანაშაულები საფუძვლიანად იქნას გამოძიებული და დამნაშავეები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, დამნაშავეებს არჩევნებში ეპატიჟებიან და იქ პირდებიან ბეჭებზე დანარცხებას.

არჩევნები რა, განსაწმენდელია, რომ იქ მონაწილეობით ცოდვილები ცოდვებისგან Gგათავისუფლდებიან და ასე განწმენდილ-გასუფთავებულნი შევლენ საკანონმდებლო ორგანოში?

დემოკრატია ამბობს რომელიმე თავში თუ ქვეთავში, რომელიმე პუნქტში თუ ქვეპუნქტში, კრიმინალები მართლმსაჯულების წინაშე კი არ უნდა წარსდგნენ, თამარ ჟვანიას ცესკოში უნდა დარეგისტრირდნენ და არჩევნებში უნდა მიიღონ მონაწილეობა, იქნებ, გაიმარჯვონ კიდეც და პარლამენტშიც მოხვდნენო?

პარლამენტი შრომა-გასწორების კოლონია ხომ არ არის ან მკაცრი რეჟიმის ციხე?

— ეგრეც არ არის საქმე — ბევრი გავასამართლეთ, ბევრი ჩავსვით ციხეში, ზოგი გაგვექცა და ინტერპოლი ეძებსო, — შემომედავებიან, ალბათ და მართლებიც იქნებიან, თუმცა რამდენად ადეკვატურია ის სასჯელები იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რაც მათ აქვთ ჩადენილი.

ასე, მაგალითად, ობიექტურად ასახავს თუ არა სასჯელის ის ზომა, რაც სააკაშვილს აქვს შეფარდებული, იმ დანაშაულებათა მთლიან სურათს, რაც მას აქვს ჩადენილი.

პიჯაკების საქმის გამო გასამართლებული სააკაშვილი რატომ არ დგას მართლმსაჯულების წინაშე, ვთქვათ და 2008 წლის აგვისტოს ომის და ამ ომის წინა და ომის შემდეგ მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, სადაც ნათლად იკვეთება სააკაშვილის და მისი გუნდის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულის ნიშნები საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი მოსახლეობის წინაშე.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთი ნაწილის შესაძლო გასხვისების ფაქტის გარშემო დიდი ხმაურია ატეხილი და აბსოლუტურად სწორად და მართებულად, მაგრამ რატომ ვდუმვართ კოდორის ხეობის, ლიახვის ხეობის, სამაჩაბლოს, არაერთი ქართული სოფლის უკიდურესად საეჭვო გარემოებების ფონზე დაკარგვასთან დაკავშირებით?

უდანაშაულო ადამიანების ქუჩებში დახვრეტა, ათიათასობით ადამიანის ციხეებში გამომწყვდევა, პატიმრების წამება, სამასი ათასი პრობაციონერის, კერძო საკუთრების წართმევის და დაყაჩაღების უამრავი ფაქტი, შიში, ტერორი, ჩარეცხილი ინტელიგენცია, კაპიკების ფასად გასხვისებული ობიექტები, ადამიანების გადაგვარების და გადაჯიშების მიზანმიმართული კამპანია, ახალი ქართველების შექმნის შიზოიდური პროექტი — აი, ამის ჩამდენ, აი, ამის შემოქმედ არამზადებთან ერთად ვმონაწილეობთ დღეს ჩვენ არჩევნებში.

აი, ამის ჩამდენ, აი, ამის შემოქმედ არამზადებთან ერთად ვისხედით ჩვენ რვა წელი პარლამენტში და თუ წყალობა მოიღეს და პარლამენტში შემოსვლაზე დაგვთანხმდნენ, კიდევ ოთხი წელი ვაპირებთ მათთან ერთად კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებას.

ნორმალურია ეს?!

ამ რვა წლის განმავლობაში ამ არამზადებთან მუდმივ ძიძგილაობასა და ბღლარძუნში ისე ავიზილეთ და ავითქვიფეთ ერთმანეთში, რომ არც მათთან თანამშრომლობა და







ურთიერთობა გვეუხერხულება, არც მათი ხელებიდან ადენილი სისხლის სუნი გვაწუხებს, არც მათი ბაგეებიდან გადმოფრქვეული შხამის მწკლარტე გემო გვაღიზიანებს.

„ბილწთ არ შევეკვრი ზავითა!“ — თქვა ერთმა დიდმა პოეტმა.

ბილწებს ზავით რომ შეეკვრები, ჩნდება საშიშროება, რომ შეიძლება თვითონაც ბილწი გახდე, იმიტომ, რომ ბილწობა გადამდებია...

როგორც ზემოთ ვთქვი, ბევრი უკეთურობა, რაც დღეს ტრიალებს, დემოკრატიას ბრალდება, განსაკუთრებით კი მის ერთ-ერთ მთავარ სეგმენტს — სიტყვის თავისუფლებას ბრალდება „ნაცმოძრაობის“ ოცწლიანი ბოგინი ქართულ პოლიტიკაში.

„ნაცმოძრაობის“ კონტროლს დაქვემდებარებული სამი ტელევიზია უტევს დღეს საქართველოს სამივე მხრიდან და სიტყვის თავისუფლების იმუნიტეტით დაცული და ხელშეუვალი ნელ-ნელა და დაგემოვნებით ანგრევს ქართული სახელმწიფოს საძირკველს, რომ მერე ქვეყანა ერთბაშად ჩამოინგრეს და ნანგრევებზე „ნაციონალები“ ჩამოსკუპდნენ ყვავ-ყორნებივით.

როგორია სახელმწიფოს რეაგირება ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ამ დივერსიაზე?

როგორია და ფრიად მოკრძალებული, მორიდებული და უკიდურესად ფრთხილი — სიტყვის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების პრინციპები არ დავაზიანოთო.

ქართული სახელმწიფო რომ ზიანდება, საქართველოს მთელ მოსახლეობაზე მიზანმიმართული ფსიქოლოგიური ტერორი რომ ხორციელდება, ეგ არაფერი — მთავარია, გვარამიებს, მელაძეებს, გრიგოლიებს, კილაძეებს, კვესიტაძეებს და მათ მსგავს ზონდერ-ჟურნალისტებს ხელი არ შეეშალოთ მათი შემკვეთების და დამფინანსებლების პოლიტიკური გეგმების გაპიარებაში და მათი ავი ზრახვების ხორცშესხმაში.

თითქოს გვეშინია, თითქოს დაკომპლექსებულები ვართ — ამათ რომ ზედმეტი სიტყვა ვუთხრათ, ამათ რომ მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი, ვაითუ „იქ“ გვიჩივლონ და დემოკრატიის და სიტყვის თა-

ვისუფლების უგულებელყოდაში დაგვედოს ბრალი, რაც, შეიძლება, თანამდებობების დაკარგვად, პოლიტიკური კარიერის დასასრულად დაგვიჯდესო.

ამას წინათ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში ეჭვმიტანილი სამი ტელევიზია დახურა, საქართველოში კი „ნაცმოძრაობის“ მიერ თავის დროზე მიტაცებული „რუსთავი-2“-ის მძევლობიდან გათავისუფლების შემდეგ მის ადგილას არანაკლებ აგრესიული და რეაქციული ორი ტელეარხი გაჩნდა — „მთავარი“ და „ფორმულა“ — დამფინანსებლები: „ბოროტების საძმოს“ ყოფილი წევრი გიორგი რურუა და მილიარდების მიტაცება-მითვისებაში ეჭვმიტანილი დავით კეზერაშვილი.

აი, ეს ორი ოდიოზური სუბიექტი მოგვევლინა სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიის მებაირახტრედ და ბურჯად საქართველოში.

მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური თავს იწონებს, ჩვენთან ტელევიზიის დაფუძნება საიტის დაარსებაზე უფრო ადვილიაო, ანუ მთავარია, ფული გადაიხადო და არავინ გკითხავს, მკვლელი ხარ, ყაჩაღი ხარ, მაფიოზი ხარ, უცხო ქვეყნის აგენტი ხარ თუ ვინ ხარ და რისთვის, რა მიზნებისთვის გჭირდება ტელევიზიის გახსნა.

არადა, ტელევიზია ისეთი მძლავრი იარაღია, რომლის საშუალებითაც ხელისუფლების დამხობა, ქვეყნის დანგრევა და გაპარტახება, ადამიანების გათახსირება, ადამიანებისთვის ფსიქიკის შეხვლა, ეროვ-

ნული იდენტობის ნგრევა შეიძლება.

და ანგრევენ, აპარტახებენ, ათახსირებენ კიდევაც და პასუხის მომთხოვნი არავინაა.

ქვეყნისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ტანკებით გადაუვლიან, ბომბდამშენებით დაბომბავენ, ქვემეხით გაასწორებენ მიწასთან თუ დემოკრატიის იარლიყმიწებებული ტელევიზიების საშუალებით გადაამტვრევენ ხერხემალში.

დემოკრატიას პატივი უნდა ვცეთ, სიტყვის თავისუფლება უნდა დავიცვათ, მაგრამ, პირველ რიგ-

ში, უპირველეს ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა, უნდა დავიცვათ ჩვენი ქართული სახელმწიფო და ყველაფერს, რაც მის წინააღმდეგ, მის საზიანოდ არის მიმართული, პრინციპულად და კატეგორიულად უნდა დავარქვათ თავისი ნამდვილი სახელი, მათ შორის, დემოკრატიული ღირებულებების მანიპულაციით და სპეკულაციით შენიღბულ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს.

ზელენსკი თავის უკრაინას იცავს, ერდოღანი თავის თურქეთს, პუტინი თავის რუსეთს, ალიევი თავის აზერბაიჯანს, ჩვენ, ქართველებმა, ჩვენი საქართველო უნდა დავიცვათ, უნდა დავიცვათ ნებისმიერ ფასად და თუ ასე მოვიქცევით, მაშინ აღმოჩნდება, რომ ძალიან ბევრის ადგილი პოლიტიკასა და პარლამენტში, ჟურნალისტიკასა თუ არასამთავრობო სექტორში კი არა — ციხეშია!

ჩვენ ისე გამოგვდის, თითქოს პენიტენციარული დაწესებულებების ფილიალები გვქონდეს გახსნილი პოლიტიკაში, ჟურნალისტიკაში, არასამთავრობო სექტორში და ციხეში მოთავსების ნაცვლად ამ სფეროებში ვასაქმებთ დამნაშავე ელემენტებს.

როგორც ზემოთ ვთქვი, **ყველა თავის სახელმწიფოს, თავის ეროვნულ ინტერესებს იცავს, ჩვენ, ქართველები კი საქართველოს ნაცვლად დემოკრატიას ვიცავთ, უფრო სწორად, მის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას ვიცავთ, რომელიც, დროთა განმავლობაში, ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან და ქართულ სახელმწიფოს დანგრევის საფრთხეს უქმნის.**

სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, კაცობრიობის მონაპოვარი და დიდი სიკეთეა, თუმცა ყველანაირი სიკეთე ბოროტი ძალების ხელში შეიძლება დიდ ბოროტებად იქცეს, როგორც ეს დღეს საქართველოში ხდება და ეს არ არის დემოკრატიის ბრალი, ეს ხელისუფლების ბრალია, რომელიც ვერ ახერხებს ბოროტი ძალების ხელში ბოროტების იარაღად ქცეულ სიტყვის თავისუფლებას ის კანონები დაახვედროს ჯებირად, რომელთა საშუალებითაც ხდება

სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოებში სიტყვის თავისუფლების და გამოხატვის თავისუფლების ისეთნაირად რეგულირება, რომ სახელმწიფოს, საზოგადოებას, კონკრეტულ ადამიანებს ზიანი არ მიადგეთ.

ასეთი კანონები სასქართველოშიც არის, მაგრამ ეს კანონები იმდენად არის დაქუცმაცებული და სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებში გაფანტული, რომ მათი ეფექტური გამოყენება ვერ ხერხდება, ეს კანონები, ფაქტობრივად, არ მუშაობს.

საქართველოში არსებობს საკაშვილის მიერ ხელმოწერილი „კანონი პრესის შესახებ“, რომელიც 2004 წლით არის დათარიღებული.

2004 წლიდან 16 წელია გასული, ანუ ქვეყანამ ამ ხნის განმავლობაში ოთხი მოწვევის პარლამენტი გამოიცვალა.

ძალიან მაინტერესებს, ამ 16 წლის განმავლობაში რომელიმე პარლამენტარმა, რომელიმე საპარლამენტო კომიტეტმა, რომელიმე მინისტრმა თუ ჩაიხედა ამ კანონში?

თუ ვინმემ ჩაიხედა, მაშინ რატომ არავინ არ ატეხა განგაში, რატომ არავის გაუჩნდა სურვილი, შეეცვალა და ნორმალურ ჩარჩოებში დაებრუნებინა ეს სატანისტური კანონი — საფუძველთსაფუძველი ყველა იმ უბედურებისა, რაც დღეს მედიასივრცეში ტრიალებს?

თქვენ რომ იცოდეთ, ეს გაუგონარი და ერთი შეხედვით დაუჯერებელი პასაჟიც დემოკრატიას და სიტყვის თავისუფლებას ბრალდება, არადა, სინამდვილეში, სააკაშვილის ნახელნაქნარია ეს, რომელსაც იმ პერიოდში, დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში, ძალიან სჭირდებოდა თავისი ჯიბის ჟურნალისტების მეშვეობით მისთვის არასასურველი ადამიანებისთვის ჩირქი მოეცხო, ლაფში ამოესვარა, მორალურად მოეკლა და გაენადგურებინა.

რვა წელია სააკაშვილი ხელისუფლებაში არ არის და ამ რვა წლის განმავლობაში რით ვერ მოახერხეთ ამ იდიოტური პრესის კანონის შეცვლა, რომ ადამიანები გაგეთავისუფლებინათ კანონით ნებადართული ბულინგისგან?

მხოლოდ პრესის კანონი კი არა, რვა წელია საზოგადოება დაჟინებით მოითხოვს, შეიცვალოს სააკაშვილის რედაქტორობით შეკოწიწებული ჰიმნი და სახელმწიფო დროშად გამოცხადებული „ნაცმოძრაობის“ პარტიული დროშა, მაგრამ არც ეს თხოვნა იქნა შესმენილი.

არადა, „სააკაშვილის ჰიმნით, სააკაშვილის დროშით, ვერ გაიმარჯვებს ქვეყანა სააკაშვილთან ომში“.

●

წელიწადი და რვა თვეა, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დროში გაჭიმული და გაწელილი პროცესი მიმდინარეობს.

2019 წლის 20–21 ივნისს, ე.წ. გავრილოვის ღამით რომ დაიწყო გადატრიალების მცდელობა, დღემდე გრძელდება და არც არავინ იცის, როდის და რით დამთავრდება.

ამ ხნის განმავლობაში ერთი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაც კი მოვასწარით, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს — გადატრიალების პროცესი გრძელდება და ეს ყველაფერი ისევ და ისევ დემოკრატიას ბრალდება.

არადა, დემოკრატია რა შუაშია, როცა ვიღაც-ვიღაცებს უმძიმეს ბრალდებას — სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას უყენებ და ისეთ მსუბუქ სასჯელებს უსვამ, თითქოს ფუნთუშები მოეპაროთ პურსაცხობიდან.

არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა, ხოლო, სადაც არ არის სამართალი და მშვიდობა, იქ ვერც დემოკრატია გაშლის ფრთებს.

ვახტანგ ხარჩილავა

ხვიჩა და გოჩა ხომ გახსოვთ, არც ერთი რომ არ იყო ვენეციელი და არც მეორე ეგვიპტელი და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ შეებნენ?! ხვიჩას და გოჩას ტრაგედია მეორდება დღეს XXI ს-ის საქართველოში

გვესაუბრება
პოლიტიკის ექსპერტი
სოსო მანჯავიძე:

— ბატონო სოსო, იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება ოპოზიციას სთავაზობს, თუ კომისია თუნდაც 1%-იან ცდომილებას იპოვის არჩევნების შედეგებში, თანახმა ვართ, რიგგარეშე არჩევნები ჩავატაროთო. ოპოზიცია მაინც არ აპირებს არავითარ დათმობაზე წასვლას. რას ფიქრობთ, საბოლოო ჯამში, რა სურს ოპოზიციას?

— როგორც კი გაირკვა არჩევნების თარიღი, ოპოზიცია იმ დღიდანვე აცხადებდა, რომ არჩევნები გაყალბდებოდა. ეს წინასწარ იყო დაანონსებული.

შეგვიძლია გავიხსენოთ სააკაშვილის დიალოგები გვარამიასთან და სხვებთანაც, სადაც წინასწარ ამბობდა, არჩევნები გაყალბდება და მოვემზადოთ რევოლუციისთვისო.

ამ რევოლუციას ხან მშვიდობიანს ეძახდნენ, ხან — ლეგიტიმურს. არ მალავდნენ და არც ახლა მალავენ, რომ რევოლუცია უნდათ და ინსტრუქციაც ჰქონდათ ასეთი. ისინი არც ფიქრობდნენ, რომ უმრავლესობით მოვიდოდნენ ხელისუფლებაში, ამას ადასტურებდა გამოკითხვის შედეგებიც. ისფედის ისტორია ავიღოთ თუნდაც, ალტერნატიულმა შედეგებმაც იგივე აჩვენა და იცოდნენ, რომ მონაცემები ნამდვილად არ იყო სანუგეშო, ელექტორალურად იყვნენ ისეთი ძლიერი ძალა, რომ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში და ამაზე არც ფიქრობდნენ.

მაგრამ, ვთქვათ, გაყალბდა, გადათვალონ ბიულეტენები და დაამტკიცონ, რომ გაყალბებულია. რა არის ამაში ძნელად გასაგები. მაგრამ ამის მიუხედავად, ეს ე.წ. ოპოზიცია მიჰყვება სიცრუის გზას და ისე არიან დატრენინგებული, რომ სიმართლეს მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მათთვის მთავარია ცრუ ინფორმაციის რაოდენობა, მისი გამეორების სიხშირე და ის, თუ რამდენ საინფორმაციო საშუალებას აკონტროლებენ.

ისინი ფიქრობენ, და სამწუხაროდ, ასეც არის, რომ ადამიანი ექვემდებარება შთაგონებას. განწყობების მართვა არის ის ტექნოლოგია, რომლითაც ხდება რევოლუციები — ჯერ ქმნი განწყობას და მერე ამ განწყობას იყენებ იმისთვის, რომ მიიღო შესაბამისი პოლიტიკური შედეგი. ასეთი პრაქტიკები დიდი ხანია დანერგილია. ამ მეთოდს იყენებს ბევრი ცნობილი ქსელი, ანუ მნიშვნელობა კი არ აქვს, ჰქონდა თუ არა რევოლუციას რევოლუციის მიზეზი, მთავარია, ხალხში შეიქმნას რევოლუციური განწყობა. დანარჩენი, მათი აზრით, მერე იქნება.

ამათ შექმნეს განწყობა, რომ არჩევნები გაყალბდა. ეს არის ნაბიჯები რევოლუციისკენ.

— თქვენ ახსენეთ ინსტრუქციები და ინსტრუქციის მიმცემები. ვინ შეიძლება იყოს, ვისგან შეიძლება მოსდიოდეთ ინსტრუქციები, დასავლეთი აღიარებს არჩევნების შედეგებს, აშშ-იც...

— დასავლეთი, აშშ, არასწორია ასეთი მიდგომები.

საქმე ისაა, რომ დასავლეთშიც არის გარკვეული ძალები, აშშ-შიც, რომლებიც დაინტერესებული არიან დესტაბილიზაციებით ჩვენნაირი ტიპის ქვეყნებში. მაგრამ, მოდი, დავკონკრეტდეთ და გავადევნოთ თვალი — ვის არ აწყობს საქართველოში სტაბილურობა. ასეთი ძალები შეიძლება იყვნენ დასავლეთში, აშშ-ში, რუსეთშიც. ეს ის ძალებია, რომლებიც, შეიძლება, სულაც არ არიან ხელისუფლებებში, მაგრამ სარგებლობენ გარკვეული სახელისუფლებო ინსტრუმენტებით.

დღეს ისეთი სიტუციაა მსოფლიოში, რომ არასახელმწიფო აქტორებიც ფლობენ საშუალებებს და ზეწოლის მექანიზმებს და ზემოქმედებენ ჩვენნაირი შეკვეცილი სუვერენიტეტის და მწირი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა. მთავარი ისაა, რომ თქვენს მიერ მოხსენიებული ჩვენი ე.წ. მხარდამჭერები და მეგობარი სახელმწიფოები კარგად ხედავენ, რომ ქართულ სახელმწიფოს არ აქვს ლეგიტიმური ძალის გამოყენების არავითარი ინსტრუმენტი. როგორც კი ხელისუფლება დაიწყებს რაიმე სახის ლეგიტიმური ძალის გამოყენებაზე საუბარს, მაშინვე მოდის განუწყვეტელი განცხადებების ნიაღვარი, რომ რურუა ყოფილა პატიმარი, მელია ჰაერში ისვრის სამაჯურს და ა. შ.

პარადოქსია, როგორც კი ვინმე პოლიტიკოსის სახელს დაირქმევს, მის წინაშე კანონი უძლური ხდება და სახელმწიფო თუ რაიმეს მოინდომებს, მაშინვე ზეწოლებზე იწყება ლაპარაკი.

ქალბატონი დეგნანი, ანდა ჰერცელი ვის უჭერს მხარს, ეს რომ არის გადამწყვეტი ქვეყნისთვის, ეს არის კატასტროფა.

ფასილიტატორების პოზიციის შეცვლის შემთხვევაში, ხელისუფლების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ დგება, ანუ საქმე იმაში კი არ არის, ვის უჭერენ მხარს, უბედურება ისაა, რომ იმ ფასილიტატორების ნებაზეა დამოკიდებული სუვერენული ქვეყნის ძალაუფლების ლეგიტიმურობა.

მაგრამ ჩვენს მთავარ პრობლემად მაინც რჩება ინსტიტუციონალური მოწყობა, რომელმაც, ფაქტობრივად, დაშალა სახელმწიფო. ქვეყანაში არ არსებობს უფლებამოსილი პირი, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს გარეთ და გამოიყენებს ლეგიტიმურ ძალას წესრიგის დასამყარებლად ქვეყნის შიგნით. ეს არის რეალობა და რაც უნდა ვიყვიროთ, „ნაცები“, „ქოცები“, რაც გინდა დაარქვი, ესაა ფაქტი.

ჩვენ დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც იმდენად არის შებოჭილი გარე ფაქტორებით, რომ წესრიგის დასამყარებლად თავის ხელში არსებულ ინსტრუმენტებს ვერ იყენებს.

მეორე მხრივ, დგას „ნაცმოძრაობის“ დესტრუქციული გუნდი, რომლის ხელისუფლებაში მოსვლის მუქარით ხელისუფლება ლეგიტიმაციას ინარჩუნებს.

8 წელიწადია მათ კრიმინალებს ეძახიან. ეს კრიმინალებიც ამართლებენ ამ სახელწოდებას და იქცევიან, როგორც კრიმინალები. მეტიც, თვითონვე ამბობენ: თუ კრიმინალები ვართ, დაგვსაჯეთ, ბატონოო და არავინ არაა დამსჯელი.

— საინტერესოა, რომ ელექტორატში ამ „კრიმინალების“ რეიტინგი თანდათან მატულობს.

— ყველაზე აყვავებულ ქვეყნებშიც კი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება წლების განმავლობაში იზრდება და ჩვენნაირ ქვეყანაში რომ დაგროვდეს უამრავი კითხვა და გაიზარდოს უკმაყოფილო მოსახლეობის რიცხვი, ეს არც არის გასაკვირი. ამ დროს, როგორც შარაგზის ყაჩაღები, ჩასაფრებული არიან ე.წ. ოპოზიციონერები, სინამდვილეში, კრიმინალები, როგორც თქვენ თქვით და ელოდებიან როდის დაემხობა მთავრობა, რომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ.

ხალხიც უყურებს: თუ დამნაშავეა, რატომ არ ისჯება?! სახელმწიფოს სთხოვს ამაზე პასუხს და აქ ირთვება „სტოკჰოლმის სინდრომი“, ჩნდება მათ მიმართ ერთგვარი სიმპათია და რეიტინგებშიც აისახება ეს.

აქედან გამომდინარე, ვართ საშინელ ქაოსში.

სიტუაციას ამძაფრებს მუდმივი ინფორმაციული შტურმი და საგიჟეთი, პირდაპირ რომ ვთქვათ.

— ბატონო სოსო, პირდაპირ ვიტყვი, რომ ოპოზიციის ყველა წარმომადგენლის იდეოლოგიური გენერატორი გახლავთ უკრაინაში მყოფი, უკრაინელი პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც გამუდმებით აკეთებს პროვოკაციულ განცხადებებს. რატომ არ რეაგირებს ამაზე უკრაინის ხელისუფლება, ის ხომ საქართველოს მეგობარი სახელმწიფოა?

— ვინმემ ხმა რომ ამოიღოს და ვინმეს ანგარიში გაუწიოს, ის ვინმე რაიმეს უნდა წარმოადგენდეს.

10 წელიწადია ერთი და იგივეს ვამბობ, თქვენთანაც არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი ვერ განხორციელდებოდა. იდეას, საპარლამენტო რესპუბლიკის შესახებ, თანაც ასეთი საარჩევნო სისტემით, ქაოსისკენ მივყავართ, არადა, ჩაუნერგეს ხალხის დიდ ნაწილს გონებაში, რომ, ვითომ, პროგრესი ყოფილა, თუ იქნებოდა მრავალპარტიული პარლამენტი, რისთვისაც საჭიროა იყოს ნულოვანი ბარიერი და სრულად პროპორციული სისტემა. ამას პროპაგანდირებენ, როგორც უდიდეს მიღწევას, მაგრამ სადამდე

მიგვიყვანა ამან, ხედავთ. ჩვენ ვზივართ ურემზე და ვამბობთ, რომ ეს არის მერსედესი.

სახელმწიფო მოწყობას რომ თავი დავანებოთ, ვართ სერიოზული საფრთხეების წინაშე, ვიმყოფებით გეოპოლიტიკური ფრონტის ხაზზე. ჩვენს მეგობრებს აქ ჰყავთ ანკლავები. ამათ გარდა, ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფებიან მეზობელი სახელმწიფოების ინტერესების განმახორციელებელი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ამ ჩვენი განუწყვეტელი არჩევნების პერიოდებში განსაკუთრებით აქტიურდებიან, რადგან მეზობელი ქვეყნების ხელისუფლებებს ვთხოვთ, ჩაერთონ ჩვენს საარჩევნო პროცესში და აამოქმედონ არაქართული ანკლავები რომელიმე პოლიტიკური ძალის საქართველოს პარლამენტში მოსახვედრად. ასე ხდება იგივე ქვემო ქართლში თუ მესხეთ-ჯავახეთში. ამით კი იზრდება ჩვენი მეგობრების პოლიტიკური გავლენები ჩვენს ქვეყანაში.

რა ვილაპარაკო, უკვე აღარაფერი ესმით, თანაც ისე არიან განწყობილი, რომ თუ ოპონენტი ხარ და განსხვავებული აზრი გაქვს, წყნარად კი არ უნდა ისაუბრო, არამედ უნდა იყვირო და ხმამაღლა უნდა ილანძღებოდე. არ ვლანძღავ, ბატონო, მაგრამ გაუგებრობაში არიან ორივე მხარე — ის ე.წ. ოპოზიციაც და ხელისუფლებაც, ისე, როგორც ხვიჩა და გოჩა, არც ერთი რომ არ იყო ვენეციელი და არც მეორე ეგვიპტელი, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც, ორივე, ბედკრული საქართველოს შვილები არიან...

ამ ინტრიგების ხლართებში არიან, რითაც სარგებლობენ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები. მათი სპეცსამსახურები ჩვენსავით დოს არ ყლაპავენ და დარწმუნებული ვარ, რაც ხდება საქართველოში, ეს არის მათ მიერ მოქსოვილი აბლაბუდა, რომელშიც ქართველები, ტრადიციულად არიან გაბლანდული, ფართხალებენ შიგ და ამ ფართხალში კიდევ უფრო იხლართებიან.

2011 წელს ვთქვი, ასე რომ იქნებოდა.

ჩემი თავის ციტირებას კი არ ვახდენ, მაგრამ ვთქვი, ეს!

ვამბობდი, რომ ეს სქემა იყო შემუშავებული ჩვენისთანა ქვეყნების დასასუსტებლად და როგორც ვხედავთ, შედეგი უკვე მივიღეთ.

— ბატონო სოსო, ამ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს სატელევიზიო სივრცეში არსებობს სამი მძლავრი, ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანია, რომლებიც მაუწყებლობენ, ჩემი აზრით, არა ხელისუფლების, არამედ საქართველოს წინააღმდეგ.

დემოკრატიულ უკრაინაში ზელენსკიმ დახურა სამი ოპოზიციური ტელეარხი. ეს არ არის პრეცედენტი?

— პრეცედენტებიც შერჩევითია, რადგან ზელენსკის თავად არ დაუხურავს ის ტელეკომპანიები. მას დაავალეს, რომ ეს გაეკეთებინა. მე გიჩვენებთ „რენდ კორპორეიშენის“ ოფიციალურ კვლევას რუსეთთან მიმართებაში, სადაც ჩამოთვლილია ღონისძიებათა ნუსხა, რაც უნდა გატარდეს.

ზელენსკის დაახურინეს ის ტელევიზიები, როგორც პრორუსული ორიენტაციის, რადგან გარკვეული ძალები აპირებენ დონბასში ახალი ცხელი წერტილების გახსნას.

ჩვენთან ტელევიზიები ღიად პრორუსულ ორიენტაციას არ ამჟღავნებენ და, შესაბამისად, ძალიანაც რომ მოინდომოს ჩვენმა ხელისუფლებამ, მაინც არ მისცემენ უფლებას, გამოიყენონ ლეგიტიმური ძალა იმისთვის, აკრძალოს ღიად დესტრუქციული ტელემაუწყებლობები, რადგან ეს საქართველოში, ახლა, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვად შეფასდება. პრობლემა არის დამოკიდებულებების ასეთ ხარისხზე.

სამწუხარო ფაქტია, რომ დღეს ხელისუფალი არ არის ქვეყანაში, მმართველი, რომელსაც ექნება ხალხის ნდობის მანდატი.

— ანუ ხელისუფლება არ გვყავს? აბა, ნიკა გვარამიაა ხელისუფალი?

— დიახ, გვარამიას მეტი ხელისუფლება აქვს. მისი და სააკაშვილის მიერ შექმნილი დღის წესრიგით ცხოვრობს ქვეყანა. მაგრამ რატომ არ გვყავს ხელისუფალი? იმიტომ რომ, პრეზიდენტის ინსტიტუცია არაა ქმედუნარიანი, ხელისუფლებას არ აქვს ბერკეტები.

გამოდის კრიმინალი ტელევიზით და იქადნება — ვერ დამიჭერთო.

ეს არის სახელმწიფო?

სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს ლეგიტიმური ძალის გამოყენების უფლება, ის სახელმწიფო არ არის სახელმწიფო!

— მაგრამ კონგრესმენმა ადამ კიზინგერმა ამასწინათ თქვა, რომ უჭერს მხარს საქართველოს. პრინციპში, კიზინგერიც ყოყმანობს — ხან ჟორიკა რურუას მიიჩნევს პოლიტპატიმრად, ხან — საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკას ემხრობა.

— კიზინგერი და ყველა სხვა, იმას დაუჭერს მხარს, ვინც იმ მომენტში დასჭირდებათ. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ჩვენთვის კიზინგერის სიმპათია-ანტიპათიები არის მნიშვნელოვანი. ეს არის სრულიად წარმოუდგენელი, დაუჯერებელი ხასიათის მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით და რომელსაც მიეჩვივნენ და გვაჩვევენ ჩვენც. ამას გარდა, აშშ-ში მიმდინარე პროცესებზე რომ აპირებ ააგო ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგი და იქ სიტუაციის დალაგებაზე რომ ფიქრობ, ეს არის სრული კატასტროფა.

— რას უნდა ველოდეთ, ამ ვითარებაში რა შეიძლება მოხდეს, რა პერსპექტივებია ჩვენ წინაშე, ბატონო სოსო?

— მკვეთრი და გადამჭრელი სახელმწიფო რეფორმები არის გასატარებელი. მათ შორის, ის იდიოტობა, რაც მოხდა არჩევნების ბარიერებთან დაკავშირებით, თუ არ შეიცვალა, უნდა ველოდოთ ქაოსის ხელახალ და დამანგრეველ ტალღას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მარტოობის მინისტრი

იაპონიის მთავრობაში მარტოხელებს თავიანთი მინისტრი ეყოლებათ

იაპონია იმდენად არაჩვეულებრივი ქვეყანაა, რომ ჩვენ უკვე იშვიათად გვიკვირს იქაური სიახლეები. აი, ახლაც, არავის გაჰკვირვებია, როცა ამომავალი მზის ქვეყნის მთავრობაში ახალი თანამდებობა შემოიღეს — მინისტრი მარტოობის საკითხებში. მის მოვალეობებს რეგიონული განვითარების მინისტრი ტეცუსი საკამოტო შეითავსებს.

იაპონელები უბრალოდ არაფერს აკეთებენ და ამ თანამდებობის შემოღება სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომლებსაც ქვეყანა უკანასკნელი წლების განმავლობაში შეეჩეხა.

ამ დღეებში ოფიციალურად გაცხადდა, რომ აუცილებელია, არსებობდეს ადამიანი, რომელიც მარტოხელა ადამიანებთან დაკავშირებული საკითხებით იქნება დაკავებული, რადგან თვითმკვლელობებმა იაპონიაში უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად მოიმატა.

ყველაზე ხშირად სიცოცხლეს ქალები ესალმებიან, სიკვდილიანობის რაოდენობა განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში გაიზარდა. თვითმკვლელობის მიზეზებს შორის სახელდება სამუშაოს დაკარგვის შიში, შემოსავლების შემცირება და თვითიზოლაცია.

მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა კაცინობუ კატომ ახალი მინისტრის დანიშვნისთვის მოამზადა მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ მარტოხელა ადამიანებს უფრო ძნელად გადააქვთ პანდემია იმ ადამიანებთან შედარებით, ვისაც ოჯახი აქვს. მაგრამ მარტოობის საკითხებში მინისტრი მხოლოდ დეპრესიითა და თვითმკვლელობით კი არა, არამედ შობადობის პრობლემებითაც იქნება დაკავებული.

მოხსენებაში ნათქვამია: „რაც შეეხება ამ დანიშვნის მიზანს, საუბარია საზოგადოებრივ პრობლემებზე, რომლებიც დაბალი შობადობის მქონე დაბერებისკენ მიდრეკილ საზოგადოებაში ჩნდება. აქვე უნდა განვიხილოთ თვითმკვლელობები, პირველ რიგში კი, ქალებსა და ახალგაზრდებში“.

თვითმკვლელობის სტატისტიკა იაპონიაში შემაშფოთებელია. 2020 წელს თავი 20 919 ადამიანმა მოიკლა, მათ შორის 13 943 მამაკაცი იყო, 6976 — ქალი.

მარტოობის საკითხებში მინისტრის თანამდებობა სამი წლის წინ დიდი ბრიტანეთის მთავრობაშიც გაჩნდა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ტრამპის იმპიჩმენტი ანუ ნადირობა კუდიანებზე



ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის იმპიჩმენტი განიხილა. ეს მოვლენა აშშ-ის ისტორიაში მესამე შემთხვევა გახლდათ. შარშან დემოკრატი კონგრესმენები აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს ტრამპს უფლებამოსილების გადამეტებასა და კონგრესის მუშაობაში ხელის შეშლას ედავებოდნენ. თუმცა, სენატში გამართულმა, ფაქტობრივად, სასამართლო პროცესმა, დონალდ ტრამპი ორივე მუხლში უდანაშაულოდ სცნო.

სენატის ვერდიქტი, ტრადიციულად, გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შედეგმა გააწბილა ტრამპის მოწინააღმდეგეები, რასაც აშკარად გამოხატავდნენ. ექსპერტებმა შარშან დონალდ ტრამპის გამართლება დემოკრატიული პარტიისთვის სამარცხვინო მარცხად შეაფასეს.

კაპიტოლიუმის შენობაზე იანვრის დასაწყისში განხორციელებული შეტევა, რომელიც შიდა ტერორიზმად შეაფასეს ხელისუფლებამ და პოლიტიკოსებმა, გახდა დემოკრატიული პარტიისთვის საფუძველი, მეორედ (!) გამოეცხადებინათ დონალდ ტრამპისთვის იმპიჩმენტი. წასული პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება არათუ აშშ-ში, სამყაროში პირველი შემთხვევა გახლავთ. თუმცა, დემოკრატებს ეს არ ანაღვლებთ. მათი მიზანია, სამუდამოდ ჩაძირონ თავიანთი „მოსისხლე მტერი“ (როგორც მათ მიაჩნიათ) დონალდ ტრამპი.

შარშან, იმპიჩმენტის გამოცხადებისთვის მასალების შესაგროვებლად დემოკრატ კონგრესმენებს სამთვიანი მუშაობა დასჭირდათ. წლეულს მათ რამდენიმე დღეში შეძლეს საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება. იმპიჩმენტი დაჩქარებული წესით განიხილეს კონგრესში, ტრამპი უპირობოდ დამნაშავედ ცნეს და პროცედურა სენატში გადაიტანეს. შარშან, სენატში უმრავლესობაში რესპუბლიკელები იყვნენ, ამჯერად ერთი ხმით დემოკრატები ჯაბნიან. თუმცა, დემოკრატებმა კარგად ისარგებლეს რესპუბლიკურ პარტიაში არსებული კრიზისით და შეძლეს რამდენიმე წევრის გადაბირება. რესპუბლიკელებისგან განდგომილი 6 სენატორი აღმოჩნდა. ამან პოლიტოლოგების გაკვირვება გამოიწვია. თუმცა, თავიდანვე ვარაუდობდნენ, რომ ტრამპის წინააღმდეგ ორი-სამი რესპუბლიკელი კანონმდებელი გაილაშქრებდა.

სენატში ვერდიქტის გამოცხადების დღეს, შარშან, კაპიტოლიუმის შენობასთან ერთბაშად ორი აქცია გაიმართა — ერთი დონალდ ტრამპის მხარდამჭერების, მეორე — მისი მოწინააღმდეგეების. წლეულს კაპიტოლიუმი ციხესიმაგრედ იყო გადაქცეული — ორმეტრიანი ღობით, მავთულხლართებით შემოფარგლული. სენატორების უსაფრთხოებას პოლიციის გარდა, საბრძოლო იარაღით აღჭურვილი 7 ათასი სამხედრო იცავდა. ამის გარდა, სენატორებს გაუძლიერეს პირადი დაცვა.

...იმპიჩმენტის პროცედურა სენატში კონსტიტუციურად აღიარეს და სხდომები დაიწყო. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მოსმენებს თავად დონალდ ტრამპი არ დაესწრებოდა. იგი ფლორიდაში იყო, სადაც ჯანმრთელობას იკაჟებდა. გავრცელებული ინფორმაციით, შემოდგომაზე კოვიდი, როგორც მაშინ იტყობინებოდნენ, იოლად არ გადაუტანია, დაავადება მძიმე ფორმაში განუვითარდა. არ უნდოდა, საკაცეზე მწოლიარე ეხილათ და ამიტომ დათანხმდა ექიმებს და თავისი ფეხით მივიდა საავადმყოფოში. ამბობენ, რომ ტრამპის ინტერესებს სენატში ადვოკატები იცავდნენ. აქვე სათქმელია, რომ მის მომხრეების აშშ-ში დევნის გამო ბევრმა ვექილმა უარი უთხრა მომსახურებაზე და მხოლოდ გულადები დათანხმდნენ ტრამპის დაცვას.

სხდომა სენატში დემოკრატების ლიდერმა ჩაკ შუმერმა გახსნა. რატომღაც, რამდენჯერმა დამახინჯებით წარმოთქვა ტრამპის გვარი. თავდაპირველად სენატის წინაშე ბრალდების მხარე გამოვიდა. იმპიჩმენტის მენეჯერმა ჯეიმი რასკინმა სენატორებს კაპიტოლიუმის შენობაზე განხორციელებული შეტევის ვიდეოკადრები წარუდგინა. ბრალდების მხარემ ასევე წარადგინა ტრამპის გამოსვლის ჩანაწერი. იმპიჩმენტის ყველა მენეჯერი ერთხმად ამტკიცებდა, რომ ტრამპი პირდაპირ მოუწოდებდა კაპიტოლიუმში შეჭრისკენ. ბრალდების მხარის მტკიცებით, კაპიტოლიუმში დაგეგმილი იყო ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის და კონგრესის სპიკერის, ნენსი პელოსის ფიზიკური ლიკვიდაცია. პენსის იმის გამო, რომ არ აღიარა არჩევნების გაყალბება...

თავდაპირველად ტრამპის ადვოკატებმა იმ გარემოებაზე გაამახვილეს ყურადღება თუ როგორ ებრძოდნენ დემოკრატები ყოფილ პრეზიდენტს. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ტრამპი უკმაყოფილო დარჩა ადვოკატების გამოსვლით და განრისხდა. პროცესის მიმდინარეობისას პრესასთან არ ურთიერთობდა, ამიტომ უცნობია მისი პოზიცია. იმასაც ამბობდნენ, სხდომის დასწყისში ადვოკატების უსუსურმა გამოსვლამ უბიძგა რესპუბლიკელი სენატორების ნაწილს, მხარი იმპიჩმენტისთვის დაეჭირათო.

აღმოჩნდა, რომ ადვოკატები, რომლებიც დონალდ ტრამპის ინტერესებს იცავდნენ, საკმაოდ კარგად იყვნენ მომზადებული. თავიანთი პოზიციების დასაცავად, რეგლამენტით მიცემული 16 საათის ნაცვლად მხოლოდ 3,5 საათი დასჭირდათ. ბრალდების მხარეს მათ მიერვე წარმოდგენილი ფაქტები დაუპირისპირეს. აღმოჩნდა, რომ ბრალდების მთავარი იარაღი — ვიდეომასალა დამონტაჟებული იყო ტრამპის საწინააღმდეგოდ. ადვოკატებმა წარადგინეს ასევე ტრამპის 6 იანვრის გამოსვლის ჩანაწერის დედანი, სადაც აშკარად ჩანს, ტრამპი მომხრეებს მოუწოდებდა კაპიტოლიუმის შენობისკენ წასვლას და რესპუბლიკელი კონგრესმენების გამხნევებას და არა შენობაში შეჭრას. შეუსაბამო იყო აგრეთვე დემოკრატების მიერ წარმოდგენილი შტურმის კადრები დედანთან.

სენატში გამართულ კენჭისყრაზე დონალდ ტრამპის იმპიჩმენტს 57-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, 43 წინააღმდეგი წავიდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მის გასამართლებლად (შარშან 47-მა სენატორმა სცნო დამნაშავედ, 53-მა გაამართლა). ტრამპის გასამტყუნებლად 67 ხმა იყო საჭირო, რისი შეგროვებაც დემოკრატებმა ვერ შეძლეს. ამიტომას იხუმრეს ექსპერტებმა: „ტრამპი დემოკრატებს 2:0 უგებსო“. ვერდიქტის შემდეგ ტრამპმა იმპიჩმენტის პროცედურა კვლავ „კუდიანებზე გრანდიოზულ ნადირობას“ შეადარა. „...მოუთმენლად ველოდები იმ დროს, როდესაც კვლავ ერთად დავიწყებთ ამერიკული დიდებისკენ სვლას“, — ამ სიტყვებით მიმართა ტრამპმა თავის მომხრეებს.

იმპიჩმენტის პროცედურა დასრულდა, მაგრამ დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების, უფრო ზუსტად, დემოკრატების და ტრამპის დაპირისპირება ცივი ომიდან მწვავე დაპირისპირების ფაზაში გადავიდა. სენატში, კენჭისყრის შედეგით გაწბილებული დემოკრატები, მათ შორის ნენსი პელოსი, ახლა უკვე დონალდ ტრამპის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე ალაპარაკდნენ. მიზეზი, სავარაუდოდ, გადასახადების გადაუხდელობა იქნებაო, აცხადებენ ექსპერტები. მათივე შეფასებით, დემოკრატები ტრამპს ამოსუნთქვის საშუალებას არ მისცემენ, ვიდრე იგი ღიად საუბრობს დიდ პოლიტიკაში დაბრუნებაზე. იმპიჩმენტის მთავარი მიზანი ტრამპისთვის პენსიის ჩამორთმევა (220 ათასი დოლარი წელიწადში) არ გახლდათ, არც დაცვის მოხსნა, არამედ ის, რომ მისთვის აეკრძალათ ნებისმიერი, მათ შორის არჩევითი თანამდებობის დაკავება, ამბობენ ამერიკელი პოლიტოლოგები. თავის მხრივ, რესპუბლიკელებსაც აქვთ დემოკრატი ჩინოვნიკების მიმართ პრეტენზიები. ორი დღის წინ მოქმედ ვიცე-პრეზიდენტს კამალა ჰარისს შეახსენეს შარშან მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ მიერ აგორებული არეულობების დროს მათ მიმართ გაკეთებული განცხადება-მოწოდება ყველანაირად, ყველა საშუალების გამოყენებით ებრძოლათ თავიანთი უფლებების დასაცავად. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება რესპუბლიკელების და დემოკრატების დაპირისპირებას, რომლის დამთავრებამდეც ჯერ შორია.



აშშ-ის ახალი, 46-ე პრეზიდენტი ჯო ბაიდენი დროებით ნაკლებად აქტიურობს. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც მსოფლიოს აღელვებდა, დადებითად გადაწყვიტა — გააგრძელა რუსეთთან შეთანხმება საშუალო და შორი მანძილის რადიუსის რაკეტების შეზღუდვებზე. შეგახსენებთ, რომ შეთანხმება მისი ვიცე-პრეზიდენტობისას გაფორმდა, რის გაუქმებასაც დონალდ ტრამპი ცდილობდა. საკითხი გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნების ერთ-ერთი წინაპირობა გახლავთ. ამის გარდა, გასულ კვირას ჯო ბაიდენი ტელეფონით ესაუბრა ჩინეთის ლიდერს სი ძინპინს. დიალოგის შინაარსზე მწირი ინფორმაცია გავრცელდა. როგორც ამნობენ, ბაიდენმა ჩინური ახალი წლის მილოცვის ნაცვლად, მთელი რიგი პრეტენზიები წაუყენა მას. ჩინური მედიის ცნობით, ბაიდენის ტონში მუქარა შეინიშნებოდა,. სი ძინ პინმა პირდაპირ განუცხადა ბაიდენს, რომ აგრესიის შემთხვევაში სათანადოდ უპასუხებს, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ მათ შორის შეიარაღებული დაპირისპირება დამღუპველი იქნება არამარტო ორივე ქვეყნისთვის, არამედ სამყაროსთვისაც. იმედი ვიქონიოთ, რომ საომარი რიტორიკა რიტორიკად დარჩება და რეალურ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მივა საქმე. საერთოდაც, სამყაროს ბევრი მუქარა ახსოვს, რომლებსაც გაგრძელება არ მოჰყოლია...

გია ბურდული
551 71 27 07

ო, ენავ ჩემო

სახელმწიფო ენის დეპარტამენტია თუ გრიქულას დუქანი?

ქართველებო, წინა წერილში უკვე გამოვთქვით დიდი მწუხარება იმის თაობაზედ, რომ ქართული ენა განსაცდელშია. კერძოდ, ამ ქვეყანაში ენის სიწმინდეს ვინც უნდა იცავდეს (ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, საზოგადოების ზედა ფენები, ცნობილი ადამიანები), არ იცავს კი არა, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, განგებ ამახინჯებს და სპეციალურად ჯიჯგნის.

უნდა ვაღიაროთ!

საქართველოში ქართველთა უმეტესობამ ქართული არ იცის. აქ არ ვგულისხმობ ეროვნულ უმცირესობებს, ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგაზე მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.





ჩვენი გოგო-ბიჭები რაღაცნაირად ლაპარაკობენ, ენის მოჩლექვით, რბილი "ლ"-ებით და ჯერაც გაუგონარი სიტყვებით. საკმარისია, რომელიმე ე.წ. ჟურნალისტმა რაღაც სიტყვა დააბრეხვოს და ეგრევე "ინერგება" საზოგადოების ფართო ფენებში — ასე შეიქმნა თავის დროზე სიტყვები: "ცნობადი", "ყურებადი", "დაკვირვებადი" და ასე შემდეგ. ამას წინებზე ერთმა უწიგნურმა ტელევიზორში თქვა, ესა და ეს ღონისძიება "დავაორგანიზეთო" და შემდგომში ტელეწამყვანებმა ეგრევე აიტაცეს, რესპონდენტებს ხშირად ეკითხებიან, აქცია დააორგანიზეთო? მოკლედ, ჩვენს თვალწინ იქმნება ახალი ღვლარჭნილი, დამახინჯებული სიტყვები, ინერგება საზოგადოებაში, ილექება მომავალი თაობების ტვინებში და ამაზე ყველა დუმს.

დიახ, ყველა დუმს!

ისინიც კი დუმან, რომლებიც უნდა ყვიროდნენ, ბობოქრობდნენ!

მეგობრებო, ამ ჯერზე ისევ ენის სახელმწიფო დეპარტამენტთან გვაქვს პრეტენზია, რომლის ხელმძღვანელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. თავის დროზე ამ დეპარტამენტს უფროსად გია ალიბეგაშვილი დაუნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა. მაშინვე გავრცელდა ჭორი, ენის პალატა დეპარტამენტად იმიტომ გადაკეთდა და პრემიერს იმიტომ დაუქვემდებარეს, რომ თბილისის საკრებულოს ვადაამოწურული თავმჯდომარე თბილ ადგილზე მოესვათ. ჩვენ, ჰუმანურმა ადამიანებმა, რა თქმა უნდა, არ დავიჯერეთ, რას ჰქვია, თბილ ადგილზე მოესვათ? რას ჰქვია, კვირიკაშვილის "ტრუსიკის" მეგობარია? რას ჰქვია, ვადაამოწურულია? პირიქით, წინა წერილშიც გითხარით, დიდი იმედი ჩაგვესახა, რომ დეპარტამენტი იქნებოდა ძლიერი ყინულმჭრელი ქართული ენის გადარჩენის საკითხებში.

თუმცა, ვფიქრობთ, შევცდით!

ამხელა დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ პრემიერ-მინისტრს, ამჯერად გიორგი გახარიას, არის ძალზედ ინერტული. თუ ამ სტრუქტურის მუშაობის სტილს სიღრმისეულად შევისწავლით, დავინახავთ, რომ ფორმალურად არსებობს. იცით, როგორ? აი, სამსახურები რომ არსებობენ, უბრალოდ ღონისძიებებს რომ ატარებენ და ეს ღონისძიებები რომ არავის სჭირდება... ან სჭირდება, მაგრამ იმდენად გამომშრალი და არაფრისმთქმელია, ინტერესს ვერ აღძრავს.

სანამ დეპარტამენტის საქმიანობის რამდენიმე მაგალითს წარმოგიდგენთ, მანამდე გვინდა ვიკითხოთ: კაი, ბატონებო და ქალბატონებო, კვირიკაშვილმა ალბათ იცოდა, ალბათ მოახსენეს, რა დეპარტამენტს აკეთებდნენ და ალიბეგაშვილი რა თანამდებობაზე უნდა დაენიშნა, ალბათ ბრძანებას იმედიანი რეზოლუციაც დაადო... აბა, ბიჭებო და გოგოებო, თქვენ იცითო, მაგრამ საინტერესოა, გიორგი გახარიამ თუ იცის, რომ ალიბეგაშვილი და ენის დეპარტამენტი მას ექვემდებარება? ჩვენ იმას არ ვამბობთ, თითქოს გახარია რაღაცებში ვერ ერკვევა, ან არ აინტერესებს, არა, ჯერ ერთი, გაგანია პანდემიის პერიოდში შეიძლება არ ეცალოს და მეორეც — ალბათ ალიბეგაშვილი არც აწუხებს. პრინციპში, რატომ უნდა შეაწუხოს, ეხლა მაგის დროა?

ჰა, მითხარით, ეხლა მაგის დროა?!

მოდით, ვნახოთ, რა იყო ადრე, ანუ მას შემდეგ, რაც ენის პალატა შეიცვალა დეპარტამენტით? მაგალითად: "2018 წლის 27 მარტს

სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის ორგანიზებით აბრებსა და სარეკლამო ბანერებზე ქართულენოვანი წარწერების განთავსებასთან დაკავშირებით ბიზნესასოციაციებისა და კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე იმსჯელეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესის როლი სახელმწიფო ენის დაცვის საქმეში და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ბიზნესის წარმომადგენლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს საკონსულტაციო-საინფორმაციო მომსახურებას სთავაზობს. მათ შეუძლიათ მიმართონ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს და შესაბამისი რეკომენდაციები მიიღონ".

აბა, უყურეთ ამათ, იმის ნაცვლად, რომ თავზე დაადგნენ ბიზნესმენებს და ზოგჯერ წამოარტყან კიდევაც, ჩიქორთული ქართულით რომ წერენ ხოლმე აბრებს და თანაც მარტო ინგლისურად, იქით სთავაზობენ, თუ დაგჭირდეთ, გამოგვიარეთ, რეკომენდაციებს მოგცემთ, არ დაგზარდებითო. ვაააა... ეს სახელმწიფო ენის დეპარტამენტია თუ გრიქულას დუქანი?

შეხვდნენ ბიჭები და გოგოები ბიზნესის წარმომადგენლებს, ჩაეხუტნენ, მოიკითხეს, მპუაო, — უთხრეს და დაემშვიდობნენ, მოგვმართეთ ხოლმე, თქვენი რა მიდისო? არ ვიცი, ამათ რა ქნეს, შეუარეს, გადაურეკეს, მოიკითხეს, მიმართეს თუ საერთოდ დაიკიდეს? გარეგანი დათვალიერებით დადგინდა, რომ... სავარაუდოდ, დაიკიდეს, რადგან ამ შეხვედრას რა შედეგი მოჰყვა, უცნობია, ინფორმაცია არ არსებობს. ისე, კარგია, ბიზნესმენები და ენის დეპარტამენტის მესვეურ-მენეჯერები ერთ რამეზე რომ შეთანხმდნენ, თურმე ბიზნესს განსაკუთრებული როლი აქვს ქართული ენის დაცვის საქმეში. ოჰ, ნუთუ?!

კარგი, ხუმრობა იქით იყოს... 2018 წლის 22 მაისს "სახელმწიფო ენის დეპარტამენტი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას და სპორტის ჟურნალისტებს შეხვდა". არ გეჩვენებათ, ენის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე სწორედ ასე წერია, დეპარტამენტი ასოციაციას შეხვდაო. ოპაააა... როგორცა სჩანს, ძვირფასო მეგობრებო, ქართული ენა იმათ არ იციან, ვინც უნდა დაიცვას, სხვას რა ველაპარაკოთ, სხვას რა მოვთხოვოთ?

ალბათ დაგაინტერესებთ, ნეტა რატომ შეხვდა? თურმე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ფეხბურთის ტერმინოლოგიის სარეკომენდაციო სიტყვარსა და ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციის წესებზე მუშაობდა.

"სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა: ქართული საფეხბურთო ტერმინოლოგიის პოპულარიზაცია, არსებულის შენარჩუნება, გამდიდრება და გათანამედროვება. ტრანსლიტერაციის წესების მიხედვით საფეხბურთო ნაკრებთა, მწვრთნელთა, მსაჯთა საკუთარი სახელების ქართულად მართლებულად გადმოცემა. სინტაქსური და სტილისტური შეცდომების შესწორება".

სად არის სიტყვარი და ტრანსლიტერაციის წესები? არ ვიცით, დეპარტამენტის ვებ-გვერდზე მსგავსი არაფერი იძებნება.

გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატმაც ჩაიარა, ჩემპიონთა ლიგამაც (ორჯერ) და საქართველოს ჩემპიონატმაც (ამ უკანასკნელისა ვერაფერი გავიგეთ), მაგრამ რათ გინდათ? ჩვენი კომენტატორები ისევ ისეთებს ლპარაკობენ, ისევ ისე ამახინჯებენ ქართულ ენას, ისევ ისე ურევენ ტერმინოლოგიას და სიტყვათა წყობას, როგორც მანამდე და როგორც უფრო ადრე.

ჩვენაო, დეპარტამენტშიო სპორტულ სიტყვარზე ვმუშაობთო... კიდევ ერთხელ ვკითხულობ: სად არის ეს სიტყვარი თუ "სიტყვის კონა"? სად არის, ბატონებო და ქალბატონებო, შედეგი? ჩვენ ხომ ფულს შედეგიანობისთვის ვხარჯავთ? სხვათა შორის, მე არ მიყვარს, როცა ადამიანები ზოგადად წუწუნებენ, როცა ფორმალურად ტირიან, უი და ვაი, ვიღაცები ჩვენს ბიუჯეტს ხარჯავენ, ჩვენს გადასახადებს არ უფრთხილდებიან, ჩვენი ჯიბიდან ამოღებულ ფულს ფლანგავენო. დიახ, მართლა ვერ ვიტან ასეთ ე.წ. პატრიოტულ წუწუნს — ის ფული შენი იყო, სანამ შენს ჯიბეში იდო, გადაიხადე? მორჩა, უკვე სხვისია.

თუმცა!

აი, ახლა თავს ვერც მე ვიკავებ: რატომ ხარჯავთ, ჩვენო არჩეულებო, ფულს არაფერში, ანუ ვითომ ქართული ენის დაცვა-შენარჩუნება-განწმენდაში?

ხალხო!

ყოველი წლის 14 აპრილს დედა-ენის ბაღში რომ გადიხართ და არაქართულად მეტყველ ჟურნალისტებს არაქართულ კომენტარებს აძლევთ, ეს არის ენის დაცვა?!

აი, ნახეთ, მეც დავუშვი განგებ შეცდომა, დავწერე, კომენტარებს აძლევთ-მეთქი, კომენტარის მიცემა და ინტერვიუს ჩამორთმევა სადაური ქართულია? არ არის ქართული! ამაზე ჩვენ მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ და თანაც უმკაცრესად.

ჰო, კიდევ ერთი!

ძვირფასო დეპუტატებო, პირველ წერილში მოგახსენეთ, რომ პარლამენტის წევრი არის, უნდა იყოს ქართული ენის უპირველესი დამცველი. ეს გევალებათ კანონით. მე პირადად სული მიმწარდება, როდესაც ვკითხულობ თქვენს მიერ დაწერილ აბდაუბდას. ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ბევრია შემჩნეული. მაგალითად, ამ დღეებში გავრცელდა ასეთი ინფორმაცია: "აგრარულ საკითხთა კომიტეტი აგრძელებს ბიოწარმოების, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დარგის, პრიორიტეტიზაციაზე მუშაობას. ბიოწარმოების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გავმართეთ ბიოწარმოების სფეროში მომუშავე არასამთავრობო სექტორის, ექსპორტიორი საწარმოსა და სერტიფიცირების ორგანოს წარმომადგენლებთან".

"პრიორიტეტიზაცია"!

ასეთი სიტყვა გაგიგიათ? მე პირველად გავიგე და პირი დავაღე, თან ლუპაც მოვიმარჯვე, ვიფიქრე, იქნებ რამე მეშლება, იქნებ მხედველობა მღალატობს-მეთქი? თქვენც არ მომიკვდეთ, უფრო უარესი დავინახე: კი, მაგრამ, დეპუტატებო (ამჯერად გვარებს არ ვწერ), ორ თუ სამ წინადადებაში სიტყვა "ბიოწარმოება" რამდენჯერ უნდა ახსენოთ?

თემის გაგრძელებას მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

რათა, შვილო, შე ვირიშვილო, რათა?!

ტელევიზორში გოგო ლაპარაკობს... ლაპარაკობს კი არა, ყვირის, წიკვინებს. ჩვიდმეტიდან ოც წლამდე იქნება, შეიძლება უფრო ნაკლებიც. თვალები უელავს, აკვესებს, პერიოდულად ჭუტავს, მერე ჭყიტავს... ყბებსაც რაღაცნაირად იქნევს, ტუჩებს ხან სიგანეზე წელავს, ხან სიმაღლეზე. ხმასაც შესაბამისს გამოსცემს — ცდილობს, მკაცრი და დაუნდობელი იყოს.

გოგო სასულიერო თემაზე ლაპარაკობს... კი არ ლაპარაკობს, ყვირის, წიკვინებს და ამტკიცებს, რომ ხუთშაბათს თუ არა, პარასკევს ან შაბათს პატრიარქს გადააყენებენ, მის ადგილზე რუსეთის აგენტ შიოს დანიშნავენ. ეს იქნება რუსეთის კიდევ ერთი გამარჯვება... უფრო სწორად, ამ რუსეთუმე ხელისუფლების საჩუქარი კრემლისთვის, ბიძინა ივანიშვილის "პადარკა" ვლადიმერ პუტინისთვის.

არა მგონია, ამ გოგოს იმდენს უხდიდნენ, სულის წაწყმედად რომ ღირდეს, ჩემი აზრით, შავნოდარობას აწვება, რათა მოდური ჟჟჟჟჟჟჟჟუუუურრრრნალისტი იყოს.

ან ნოდარა, ან გვარამა, ან ინგა, ან ჟიჟი, ან ტრაპაიძე, ან ბუკა-ეკა, ან ესა, ან ისა... ამათ უნდა მიჰბაძოს, ამათებურად უნდა ილაპარაკოს და იმსჯელოს, ამათებურად უნდა მოიქცეს, ესენი არიან იდეალურები, მისაბაძები, ქართული ჟურნალისტიკის დედები და მამები.

ვუყურებ გოგოს და... მიჩნდება შეკითხვა: შვილო, რა გჭირს, რატომ წიკვინებ, რატომ გადმოგდის პირიდან ცოფი, რატომ განგიგდია შენი სულიდან იოტისოდენი სიწმინდეც კი? შვილო, რატომ მოედინება შენს ბაგეთაგან ამდენი ბოღმა, ბალღამი და წირპლი?

რატომ, შვილო, რაში გჭირდება ან შავნოდარობა, ან ჟიჟიობა, ან ჟუჟუობა, ან ბუკაობა, ან ეკაობა, ან კვესაობა, შენ ხომ შენ უნდა იყო, შენ ხომ ჯერ უნდა ისწავლო?

არა? ასე გირჩევნია? ასე ცხოვრება უფრო იოლია? შეიძლება მართალი ხარ, შუბლზე ძარღვი რომ გაგიწყდება, მერე ცხოვრება უფრო იოლია, მაგრამ დადგება დრო, როცა უკვალოდ ჩაირეცხები.

რათა, შვილო, შე ვირიშვილო, რათა?!

ირინე – ირინე სარიშვილი

"ჭუტავიზიის" ეთერში ზის ირინა (ირინე) სარიშვილი და თავისი მამაკაცური ხმით ამბობს:

"სალომე ზურაბიშვილის ჭკუით სავსე განცხადებები სასაცილო არ არის. რასაც ამბობს, ეს არ არის ინტელექტის ან გონების ნაკლებობა, ეს გამიზნულად ემსახურება რუსულ ოპერაციას ".

დიახ, ირინა (ირინე) სარიშვილი სალომე ზურაბიშვილზე ამბობს, რუსულ ოპერაციას ემსახურება, როცა აცხადებს, გარეჯი საქართველოაო!

ესე იგი, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ გარეჯი საქართველოა, გამიზნულად ვემსახურებით რუსულ ოპერაციას, რომელიც დაიგეგმა კრემლში!

ანუ... კრემლში დაგეგმეს, რომ გარეჯი საქართველოა!

გაიგონეთ?

კრემლში და შემდეგ ფეესბეში... ან ეფესბეში!

ამას ამბობს ირინა (ირინე) სარიშვილი თავისი ბომჟური ინტონაციით!

ირინა (ირინე) ამბობს, იგორ გიორგაძის პარტიის თავმჯდომარე, რომელმაც უამრავი ადამიანი ჩაითრია ავანტიურაში და შემდეგ დააჭერინა!

ეხლა ეს ირინა (ირინე), რომელმაც ჯერ ზვიად გამსახურდია დაამხო, შემდეგ კი იგორ გიორგაძის მარჯვენა ხელი გახდა, "ჭუტავიზიაში" უზით და ჭკუას ეკითხებიან!

ჰა, ჰა, ჰა!

ირინასა, კაცო... ირინასა და ირინესა, გამოშტერებულსა, რუსეთის დანომრილ აგენტსა... ჭკუას ეკითხებიან!

რათა მკლავთ სიცილით, თქვე კეთილებმოტ...ნულებო, რა გინდათ ჩემგან?!

ჯობი – ზურაბ გირჩი

გირჩ ზურაბას, ჯოგს რომ დაატარებს აღმა-დაღმა, ეკითხებიან, აქციას რომ დაასრულებთ, მერე რას აპირებთო?

არ ვიციო, აზრზე არა ვარო.

ეჭვი მაქვს, ამ ჩემისას, ჯონ სტაინბეკის რომანი ("მრისხანების მტევნები") აქვს წაკითხული.

სწორედ ამ რომანშია ერთი მომენტი, სადაც ყოფილი მოძღვარი ეუბნება მთავარ პერსონაჟს (ტომ ჯოუდს), ადამიანები უნდა ატარო, ძალიან დაღალო და მერე სადმე თხრილში ან უფსკრულში ჩაყაროო.

გირჩი ზურაბა ამ უბედურთა მოძღვარია (სახლში გასაბერი ეკლესიაც აქვს) ატარებს მონების ჯოგს სიცივეში, პანდემიაში, ატარებს აღმა-დაღმა, დაღლის, სიქას გააცლის, ბოლოს შარვლებს ჩახდის, პანჩურს ამოარტყამს და ჩაყრის ტლაპოში.

მე არაფერი მიკვირს... მარტო ის მიკვირს, გირჩ ზურაბას სტაინბეკი სად და როდის უნდა წაეკითხა?

გულადი (თ)ოთო – ოთო აბესაძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი (თ)ოთო ბიჭი, ლოყებღაჟღაჟა და სინორჩით გამორჩეული. (თ)ოთოს უყვარდა ხოლმე პარკებში სეირნობა. ერთხელაც გადაწყვიტა, პარლამენტის გადასწვრივ რო შადრევნებიანი პარკია და ცოტა ქვემოთ ბატი-ბუტსაც რო ჰყიდიან, იქ გაესეირნა. ჩაიცვა მოკლე შარვალი, ამოიცვა გეტრები, კედებში წაჰყო ფეხები და გაუდგა გზასააა.

ჰოი, საოცრებავ, ერთ-ერთი ჭადრის ქვეშ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი შენიშნა, რომელსაც საკუთარი თავი მუხლებზე ჩამოედო და საქართველოს კონსტიტუციას იზეპირებდა. (თ)ოთოს ეგრევე გაუჩნდა სურვილი, მივარდნილიყო მომავალ პრეზიდენტთან და კალთაში ჩაჯდომოდა, მაგრამ ვერ გაბედა. თუმცა მომავალმა პრეზიდენტმა შენიშნა, ჯერ გაუღიმა, მერე ლოყაზე ხელი მოუთათუნა და უთხრა: ჰეი, ბალღო, როდესაც პრეზიდენტად ამირჩევენ და უზარმაზარ სასახლეში შევალ, მოდი ჩემთან, კანფეტებით დაგაჯილდოვებ, შეიძლება რამე თანამდებობაც კი გამოგიძებნოო. (თ)ოთომ პირიდან თითი გამოიღო, ღიპი მოიფხანა და მომავალ პრეზიდენტს მიაჩერდა. ჰო, რა იყო, არ გჯერა, რომ პრეზიდენტი გავხდებიო? იიიჰ, მჯერა, თუკი ბიძინა ძია მოინდომებს, აგირჩევენო, — მიუგო ბალღმა. თუმცა ეხლა ხომ განათლების მინისტრი ვარ, მოდი, ჩემ მრჩევლად დაგნიშნავო. ბალღი იდგა და იკრიჭებოდა. ამან, ამ მომავალმა პრეზიდენტმა და მაშინდელმა განათლების მინისტრმა იქვე დაწერა განკარგულება, თან ქაღალდზე მიაწერა, პრეზიდენტი რომ გავხდები, დაგაწინაურებო. დააწინაურა, ჯერ "ქართულ ოცნებაში" შეიყვანა, შემდეგ კი თბილისის მერიაში გადაიყვანა. თან "ფეისბუკში" გააქტიურდა და ტრაბახობდა, არაფერი შეგეშალოთ, მე ოცნების ბიჭს მეძახიანო. ჰო, ოცნების ბიჭსაო, ნაცებს ვებრძოდი მთელი ცხოვრება და არც ეხლა გავახარებო. ერთ დილასაც ხმა გავარდა, (თ)ოთო აბესაძე დაიჭირესო, 3 ათას დოლარს ედავებიანო, თურმე ქრთამი აუღიაო, კანონის თანახმად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებაო.

ვაიმეეეე, 6-დან 9 წლამდეო?! — აღნავლდა (თ)ოთო, გულზე დარდი შემოიყარა, დეპრესიაში ჩავარდა, ცრემლებად დაიღვარა, მაგდენი სად შემიძლიაო? მეო, ძალიან მივქარეო, არ მინდოდაო, შემაცდინესო, ფული ძალათ ჩამიდესო, ლამის გამკოჭესო, მაპატიეთო, ბიძიებო და დეიდებო, მეტს აღარ ვიზამო. თითქოს არ მოუსმინეს, ციხეში გაუშვეს, მაგრამ იმდენი იღნავლა, დანაშაული

გადაუკვალიფიცირეს და 6 თვეში გამოუშვეს.

ჰოდაააა... როგორც წესია ხოლმე, (თ)ოთოც "გაბლატავდა" და იცით, ვის "გაუბლატავდა"? "ქართულ ოცნებას"!

ახლა ნახეთ ბალღის გათანამედროვებული პოზიცია (სტილი დაცულია):

"ჩვენი ნაყიდი სამსახურის მანქანებით რომ "დაგრიმიტობენ", საშვები აქვთ და ამ "გრიმიტში" ჩვენ რომ ვუსხავთ ბენზინს ყოველ თვე "დარმავოი" შემოსავალი რომ აქვთ ბიუჯეტის ხარზე ხელფასი ისიც ჩვენი გადახდილი და ხელფასაღებული რომ გვმოძღვრავს იმ ადამიანებს ვინც ჩვენი რესურსით ეკონომიკას ვქმნით, ეხლა ყველანაირი რესურსი რომ ამოვწურეთ და მენტორული ტონით მოგვიწოდებენ რომ ვიჯდეთ სახლში. მართლა სასაცილოები ხართ ჩამოქვეითდით მაგ მანქანებიდან და ატარეთ ხალხი ვისაც გზის ფული არ აქვს!!! არ აიღოთ ეგ ხელფასს + დანამატები და გაუყავით მეზობელს!!! მერე გველაპარაკეთ სახლში ჯდომაზე"!!!

(თ)ოთოს პირველი "მიმართვა" უფრო მკაცრი იყო, ჩამოეთრიეთ ჩვენი ნაყიდი მანქანებიდანო, ეგრე არ არიო, ჩვენი გადახდილიდან ხელფასებს რომ იღებთ და თანაც საშვებიც გაქვთ, ნუ გვმოძღვრავთო. ეტყობა, მერე ვიღაცამ შენიშვნა მისცა, მთლად ეგრეც არ არი, შენგან არ იმსახურებენო და ცოტა გაალაითა.

ისე, განათლების მინისტრის ყოფილი მრჩეველი რომ მართლწერასთან მწყრალადაა, ან წერილიდანაც კარგად ჩანს. შესაბამისად, მისი საქციელიც ამტკიცებს რას? ამორალობას, უზნეობას, უმადურობას!

იცით, ვინმე მეძროვე ოთო თუ (თ)ოთო არ არის საინტერესო, მე უბრალოდ გაჩვენეთ, თუ როგორ კარგავენ ადამიანები სახეებს. სამწუხაროდ, ეს ყმაწვილი ერთი არ არის, მისნაირები იყვნენ, არიან და იქნებიან, მაგრამ დღეს ნამეტნავად მომრავლდნენ, გეგონება სულის გაფუჭება მოდაა.

„ბიბისელი" ჰერაკლე – ირაკლი იმნაიშვილი

ნიკანორ მელიამ ცხრაჯერ ჰკითხა "ბიბისიდან" გადმოყვანილ "რუსთაველელ" ირაკლი იმნაიშვილს თავისსავე გადაცემაში, წინა ხელისუფლების დროინდელ სასამართლოსა და ახლანდელ სასამართლოს შორის რაიმე სხვაობას ჰხედავო?

იმნაიშვილმა რვაჯერ აარიდა თავი პასუხს, მეცხრე ჯერზე კი გატყდა, ვერ ვხედავო, ვერაო... საერთოდ ვერაო.

შვილო, ჰერაკლ, მე ნამდვილად არ ვარ სასამართლოს ადვოკატი, მაგრამ მაგ პასუხს ვერ მოგიწონებ.

ადრეც დავწერე და გავიმეორებ: ტელეჟურნალისტები სტუდიებში პირდაპირ "სპალნიდან" რომ შედიხართ, არ ვარგა, ჩანს, მაყურებელი ყველაფერს ამჩნევს. თუ არაფერი გსმენია წინა სასამართლოზე, მოგებული საქმეების სტატისტიკას მაინც ჩაჰხედე, რაღაცას მიხვდები. ვის "აბლატავებ", რას "აბლატავებ"?!

ბოლო-ბოლო, მელიას ბიოგრაფია მაინც წაგეკითხა!

შვილო, ჰერაკლ, მახსოვს, დედაშენს ტელე-რადიო კომიტეტში რომ მოჰყავდი ხოლმე, მაშინ უფრო ცქვიტი ბიჭი იყავი, ეხლა რა დაგემართა?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მელაძე და მელაძუა გოგაშვილი, ანუ რაღაც დალპა საქართველოში

ვინმეს რომ ეთქვა ორი-სამი წლის წინათ უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილი ნოდარიკო მელაძეს თავისი ფეხით ეახლება სტუდიაში და „აღსარებას“ ჩააბარებსო, ცოცხალი თავით არ დავიჯერებდი.

არადა, ეახლა!

ეახლა და ისეთი მონდომებით უპასუხა „გამომძიებელ“ მელაძის ყველა კითხვას, შეიძლებოდა გეფიქრა, რაღაც წინასწარი „საპროცესო“ შეთანხმება ხომ არსებობს ამათ შორისო.

ვირეშმაკა მელაძეს კადრიც ვირეშმაკულად ჰქონდა დაყენებული — თვითონ შემაღლებულ ადგილას, მაღალფეხებიან სკამზე იყო შემოსკუპებული, გოგაშვილი დაბლა, დაბალ დივანზე იჯდა და „გამომძიებელი“ მელაძე ზემოდან დასჩხაოდა „დადაბლებულ“ გოგაშვილს: „თქვი! აღიარე! გამოტყდი!“

„დადაბლებულ“ გოგაშვილს „გამოსატეხად“ მაინცდამაინც დიდი ძალდატანება არც სჭირდებოდა — ისედაც მშვენივრად ფქვავდა ყველაფერს და არც კი ახსოვდა, რომ ცოტა ხნის წინათ ისეთი საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გავალდებულებს, ენას კბილი დააჭირო და გაზეთ-გაზეთ, ტელევიზია-ტელევიზია არ ილაქლაქო, რადგან საქმე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებს ეხება.

არაკვალიფიციურობა და არაპროფესიონალიზმი ჰქვია იმ ნაბიჯს, რაც იმ დღეს გოგაშვილმა გადადგა და, ვფიქრობთ, ამ ნაბიჯით მან საბოლოო წერტილი დაუსვა თავის კარიერას, რომელიც, არ არის გამორიცხული, მომავალში კიდევ გაგრძელებულიყო.

როგორც გაირკვა, გოგაშვილი რაღაც არასამთავრობო ორგანიზაციისმაგვარ ენჯეოს ქმნის, რომელიც, მისი თქმით, კონსულტაციებს გაუწევს, პროექტებით და კონცეფციებით მოემსახურება ყველას, ვისაც ამის სურვილი ექნება.

— დიდი ინფორმაციის მატარებელი ვარ, დიდი გამოცდილება დამიგროვდა, რატომ უნდა დაიკარგოს ეს გამოცდილება? — იკითხა გოგაშვილმა და „გამომძიებელმა“ მელაძემაც დაუსატურა, რომ ამ გამოცდილების დაკარგვა არ შეიძლება.

ეს ინფორმაციების ფლობა და გამოცდილება იმდენჯერ ახსენა გოგაშვილმა რომ შეიძლება ეჭვი გაგჩენოდა — ვიღაცებს ხომ არ აფრთხილებს და ხომ არ აშანტაჟებს გოგაშვილი, ხომ იცით, რა უზარმაზარ ინფორმაციებს ვფლობ... ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ გამაბრაზოთ, თორემ ან ინფორმაციებს გავასაჯაროებ და ქვა ქვაზე არ დარჩებაო.

გამოცდილი მელაძე მიუხვდა, საითკენ უკაკუნებდა გოგაშვილი და რამდენჯერმე ჩაეკითხა — თქვენ მზად ხართ, ნებისმიერ თემაზე ილაპარაკოთ ღიად და გახსნილადო?

— ნებისმიერზე მზად ვარ, ვილაპარაკო. პრობლემა არ მაქვსო, — უპასუხა გოგაშვილმა.

ცხადია, გოგაშვილმა ბევრი რამ იცის და, ალბათ, ბევრზეც ფლობს სერიოზულ კომპრომატებს.

აი, ამ კომპრომატების გასაყიდ კანტორას ხომ არ ხსნის გოგაშვილი იმ თავისი მომავალი ენჯეოს სახით და სწორედ ამ კანტორას ხომ არ გაუკეთა რეკლამა მელაძის დახმარებით?

მე თქვენ გეტყვით და, მუშტარი მოაკლდება თუ რა?

— „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თუ ითანამშრომლებთ? — იკითხა მელაძემ.

— რატომაც არა, ოღონდ, იმ შემთხვევაში, „ნაცმოძრაობა“ ტერორისტებისგან თუ გათავისუფლდებაო, — მკვირცხლად მიუგო გოგაშვილმა.

მელაძეს სულაც არ შეუცხადებია, რა ტერორისტები, რისი ტერორისტები, რა უნდა „ნაცმოძრაობაში“ ტერორისტებსო და არც გოგაშვილს დაუზუსტებია „ნაციონალი“ ტერორისტების ვინაობა.

— სააკაშვილთან თუ ითანამშრომლებთ, თუ სააკაშვილი წითელი ხაზიაო? — იკითხა მელაძემ, თუმცა გოგაშვილმა დიპლომატიურად აარიდა პასუხს თავი.

რა მიუხვედრელი კაცია ეს ნოდარიკო მელაძე — რადგან მელაძესთან მოვიდა და ბატკანივით წინ დაუჯდა, ეს იმას ნიშნავს, რომ გოგაშვილი ყველასთან ითანამშრომლებს — „ნაცმოძრაობასთანაც“, სააკაშვილთანაც, გვარამიასთანაც, მელიასთანაც, ბოკერიასთანაც და თვით თემურ ალასანიასთანაც კი...

— ერთი ციანიდის ამბავიც მომიყევით, როგორ იყოო, — სთხოვა მელაძემ გოგაშვილს.

— კრიმინალია დეკანოზი მამალაძე... ეგ და სოსო ოხანაშვილი ერთად აკეთებდნენ დიდ ფულს, რაშიც ხელს პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა უშლიდათ და მისი განეიტრალება გადაწყვიტეს. გეგმა ასეთი იყო: მამალაძე ციანიდს ჩაიტანდა გერმანიაში. შეარჩევდნენ დროს და როცა შორენას პატრიარქთან საჭმელი უნდა შეეტანა, ამ საჭმელზე ციანიდს მოაფრქვევდნენ, მერე კი პალატის კართან შორენას დააკავებდნენ, რომელსაც ციანიდიანი საჭმელი შეჰქონდა პატრიარქთან. ატყდებოდა დიდი ხმაური და სკანდალი. ასე ჩამოიშორებდნენ შორენას გზიდან, — ჩამოარაკრაკა გოგაშვილმა.

ერთი შემახსენეთ, სად მუშაობდა ეს კაცი?

სად მუშაობდა და უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე იყო.

კი, მაგრამ, ამ სისულელის, ამ ბოდვის მთქმელს და დამჯერებელს, რა უნდოდა ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე? ამ კაცს როგორ ებარა ქვეყნის უსაფრთხოების და უშიშროების ბედი?

მელაძე და გოგაშვილი ტკბილად დაშორდნენ ერთმანეთს.

ეჭვი მაქვს, რომ გოგაშვილს შემდეგი ვიზიტი ნიკუტა გვარამიასთან ექნება, შემდეგ კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, თავის ძველ მტერს ელისო კილაძეს გადაუშლის გულს.

მათი შეხვედრა უაღრესად ემოციური და სენტიმენტალური იქნება — დაახლოებით ისეთი, დაკარგული და-ძმა ერთმანეთს რომ ნახავენ დიდი ხნის შემდეგ.

— დაო ელისო, — ეტყვის ეს.

— ძმაო სოსო, — ეტყვის ის და ერთმანეთს ჩაეხუტებიან გულაჩვილებულნი და თვალცრემლიანნი.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არაო, კი ვთქვით, მაგრამ რა არის ამაში დაუჯერებელი, როცა ჩვეულებრივ ამბად იქცა: ადამიანები, რომლებიც გუშინ ერთმანეთს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ და ლაფსა და ტალახში სვრიდნენ, დღეს ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებიან.

უსირცხვილობის, უტიფრობის ჟამი დგას ქვეყანაში.

რაღაც დალპა დანიაში, დანიაში კი არა, საქართველოში...

დავით ქავთარია

განსაკუთრებულად უსინდისო „განსაკუთრებული კაცი“

საქართველოს გაფიცებთ, ქართველებო: არ დალიოთ ჭყონიას „ფანტა“ და „კოკა-კოლა“, არ შეხვიდეთ ჭყონიას სწრაფი კვების ობიექტებში, არ ჭამოთ ჭყონიას ჰამბურგერი და ჩისბურგერი!

„დღეს მთავარმა არხმა გრანდიოზული და ჩვენთვის ისტორიული შეთანხმება გააფორმა კოკა-კოლასთან, ანუ თავისუფლებასთან, ხარისხთან და წარმატებათან.

ყველამ და ყველაფერმა, ორივე მხრიდან, თავისი წვლილი შეიტანა და თავისი როლი ითამაშა. მაგრამ იყო ერთი მთავარი და განსაკუთრებული კაცი თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობით და მნიშვნელოვნებით — თემურ ჭყონია. ამიტომაც მთავარი და განსაკუთრებული მადლობა მას. და არა მარტო დღევანდელი შეთანხმებისთვის.

ვიწყებთ ფიქრს 2022-ზე!“ — ეს სიხარულისგან აჟიტირებული და აჭყლოპინებული ნიკუტა გვარამიას განცხადებაა, რომელიც მან „კოკა-კოლასთან“ გაფორმებული „ისტორიული შეთანხმების“ შემდეგ გამოაქვეყნა.

მართალია გვარამია, თემურ ჭყონია მართლაც განსაკუთრებული კაცია, ოღონდ განსაკუთრებული თავისი უსინდისობით.

ნიკუტა გვარამიას და მის „ჩაჯვიტელევიზიას“ კაცი რომ ფულს მისცემს, ის ნამდვილად განსაკუთრებული მნიშვნელობის თახსირია, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია ეს ქვეყანა და იმ მტარვალი სააკაშვილის უკან, ხელისუფლებაში, დაბრუნებას უჭერს მხარს, რომელმაც ამდენი ტკივილი და შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს და ქართველ ხალხს.

კი, მაგრამ ასე რატომ უნდა გძულდეს საქართველო, თუ ნამდვილად ქართველი ხარ და ეს გაუცნობიერებელი სიძულვილი გენეტიკურად არ მოგდგამს?

როგორც ამბობენ, ამ „განსაკუთრებულ კაცს“ ქართული სახელმწიფოს ვალი აქვს — ხუთი მილიონი დოლარი, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში აიღო ე. წ. თურქული კრედიტიდან და რომელსაც ჯიუტად არ აბრუნებს.

დროულად დააბრუნე ეს ვალი, შე მართლა განსაკუთრებულო თვალთმაქცო ჭყონიავ! დააბრუნე ეს ვალი და დაანებე თავი ამ ქვეყანას, საიდანაც მილიონებს ქაჩავ და იმავე დროს ძირს უთხრი და ზურგში დანას ულერებ!

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ დროს, მომიტინგეებს ჰამბურგერებს და კოკა-კოლას ურიგებდნენ თურმე ჭყონიას დავალებით, რაც მოგვიანებით ნაციონალებმა დაუფასეს.

ახლაც იგივე ფანდს მიმართავს ჭყონია — ვინძლო ხელისუფლება შეიცვალოს და სჯობია, წინასწარ დავიჭირო თადარიგიო.

ერთი უცნაური თხოვნით მინდა მივმართო ქართველებს: მოდით, ერთხელ მაინც გამოვამჟღავნოთ მაღალი ეროვნული თვითშეგნება და პროტესტის ნიშნად არ დავლიოთ ჭყონიას „ფანტა“ და „კოკა-კოლა“, არ შევიდეთ ჭყონიას სწრაფი კვების ობიექტებში, არ ვჭამოთ ჭყონიას ჩისბურგერი და ჰამბურგერი; არ მივცეთ ჭყონიას იმის საშუალება, რომ ჩვენს ხარჯზე აკეთოს მილიონები და მერე ეს მილიონები უბედურებად შემოგვიტრიალოს უკან.

ძალიან მარტივი და იოლი გასაკეთებელია ის, რასაც მე გთხოვთ, ქართველებო — მთავარია, უფრო მეტად გიყვარდეთ ჭყონიასნაირების მიერ გადამთვილი თქვენი სამშობლო, ვიდრე „ფანტა“ და „კოკა-კოლა“, ვიდრე ჰამბურგერი და ჩისბურგერი, რომელმაც ლამის არის ბოლომდე დააუშნოვოს და დაამახინჯოს ქართველი ახალგაზრდები — ერთ დროს ლამაზი, ტანადი, მოხდენილი, ჯიშიანი ერის შვილები.

— მიირთვით „კოკა-კოლა“, მე უშაქროს ვარჩევ — ტვინს კვებავს! — საეჭვოდ იკვანწება გვარამია და რესპონდენტებს „კოკა-კოლას“ უმარჯვებს.

თუ ტვინს კვებავს, „ნაციონალებმა“ და მათმა ფანებმა დალიონ — იქნებ ჭკუა მოემატოთ და გონს მოეგონ, თქვენ კი, დანარჩენ ქართველებს, საქართველოს გაფიცებთ: არ დალიოთ „ფანტა“ და „კოკა-კოლა“! არ შეხვიდეთ ჭყონიას სწრაფი კვების ობიექტებში! არ ჭამოთ ჭყონიას ჰამბურგერი და ჩისბურგერი!

გიორგი ბერიძე

თბილისი



ლეონარდო და ვინჩი



ლუი ჟაკოლიოტი



ნილს ბორი

ცხრა უცნობის კავშირი და ცეცხლის მჭამელები

დასასრული.
დასაწყისი იხ. „სგ“ N4

ლუი ჟაკოლიოტმა ზედმიწევნით შეისწავლა ძველი მმართველების ხელნაწერები. კონსულმა შეაგროვა სანსკრიტი, უძველესი რუქები, თიხის დაფები, რიტუალური ხანჯლები და სარკეები. ჟაკოლიოტს აინტერესებდა ყველაფერი, რაც შეიცავდა ძველი ტექსტების ნახატებს ან ფრაგმენტებს. 1860 წელს კონსულმა აღმოაჩინა იდუმალი ხელნაწერი. საუბარი იყო ინიციაციაზე, გამოსხივებით სტერილიზაციაზე და ფსიქოლოგიურ ომებზე. მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდისთვის ეს მართლაც ფანტასტიკური ტექნოლოგიები იყო. საიდუმლო არქივებში მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თავის კვლევაში ჟაკოლიოტი წერს, რომ 22 საუკუნის განმავლობაში, ცხრათა კავშირის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, საიდუმლო გამოკვლევები ტარდებოდა ცოდნის ყველა სფეროში, რომელთა შედეგები მხოლოდ რამდენიმე მათგანისთვის იყო ხელმისაწვდომი. ცოდნა, რომელიც ადამიანის გარემოში ჩნდებოდა, ყოველთვის შემოიფარგლებოდა ადამიანთა გარკვეული წრით, რადგან ცოდნა საშუალებას აძლევდათ ემართათ სამყარო, სახელმწიფოები, ხალხი... პაპ სილვესტერ II (999–1003), „ცხრა უცნობი“ ადამიანის წევრს უწოდებენ. მან შეაგროვა უჩვეულო ხელნაწერები, დაწერა ასტრონომიული ინ-

რობერტ ჰაინლაინი

სტრუმენტების ტრაქტატები, გეომეტრიისა და მუსიკის შესახებ. მისი ცოდნა მათემატიკაზე, ფიზიკასა და მექანიკაში უსწრებდა თავის დროს. მაგრამ რაც მთავარია, ის ცდილობდა უნივერსალური ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნას და სხვადასხვა რწმენის ხალხის ერთმანეთთან შერიგებას. 1636 წელს შვენტერმა თავის ნაშრომში “ფიზიკური და მათემატიკური გასართობი” გამოკვეთა ელექტროგადაცემის პრინციპები და ისაუბრა ორ ადამიანს შორის “მაგნიტური სხივის” საშუალებით კომუნიკაციის შესაძლებლობის შესახებ. მონტებერგის (ფლანდრიის) კიდევ ერთმა დაუდგენელმა ავტორმა 1729 წელს გამოაქვეყნა შავი და თეთრი და ფერადი ფოტოგრაფიის პროცესის აღწერა. მისი ნამუშევრებიდან გამომდინარეობს, რომ მან მიიღო ფოტოგრაფიული სურათები მზა “რეცეპტის” გამოყენებით, არც მოქმედების ფიზიკური პრინციპი იცოდა, არც შემქმნელის და გამაძლიერებლის ქიმიური ნაერთების შემადგენლობა. კითხვა, ვინ შესთავაზა მას ეს “რეცეპტი”, ღია რჩება. პარაშუტის სქემატური ნახაზი, დიდმა ლეონარდომ ესკიზებით გამოსახა ხუთასი წლით ადრე მის გამოგონებამდე. მანვე გამოიგონა პრიმიტიული, მაგრამ საკმაოდ ფუნქციონალური ვერტმფრენი. ეს ფანტასტიურად გამოიყურება, მაგრამ და ვინჩიმ, როგორც ჩანს, იცოდა, თუ რას გამოიგონებდა კაცობრიობა მომავალში და ყველაფერი გააკეთა ამ მომენტის დასაახლოებლად. ამასთან, კიდევ უფრო ფანტასტიურად გამოიყურება სხვა რამ, რაც ლეონარდოს გამჟღავნებამდე ორასი წლით ადრე დასრულდა. ფრანცისკანელმა ბერმა როჯერ ბეკონმა, რომელიც უკვე XII საუკუნეში დამაჯერებლად დაწერა, თქვენ შეგიძლიათ ააშენოთ მანქანა, რომელიც წარმოუდგენელი სიჩქარით მოძრაობს ცხოველების ნაკადის გარეშე, ანტიკური საბრძოლო ეტლების მსგავსი. თავის ტრაქტატებში ბეკონმა დეტალურად აღწერა მიკროსკოპი, თანამედროვე გემები, თვითმფრინავები და მასობრივი განადგურების იარაღები. რა წყაროები გამოიყენა ჯონათან სვიფტმა მარსზე ორი თანამგზავრის არსებობის წინასწარმეტყველებისას, მათ ოფიციალურ აღმოჩენამდე ორი საუკუნის წინ? ვინ ასწავლიდა პარაცელუსს მეთხუთმეტე საუკუნეში, ვისგანაც მომდინარეობს მთელი დასავლური მედიცინა, თანამედროვე ფარმაკოლოგიის საფუძვლები? ყველა საიდუმლო ცოდნა, რომელსაც პლანეტის უდიდესი გონი ანათებდა, ერთი და იგივე წყაროდან არის აღებული. ჟაკოლიოტი ირწმუნება, რომ ბეკონი, და ვინჩი, სვიფტი, პარაცელუსი, სხვადასხვა დროს იყვნენ უკიდურესად საიდუმლო ორგანიზაციის წევრები, რომლებიც ღმერთების ცოდნას ფლობდნენ რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში. ორ ათასზე მეტი ხნის განმავლობაში, ცხრა კავშირმა ფანტასტიკური რესურსები დააგროვა. კონტროლის მექანიზმი, ნებისმიერ ახალ გამოგონებაზე, რომელსაც კაცობრიობა შობს არცთუ რთული ყოფილა. საკმარისია საერთაშორისო პატენტის სისტემაზე წვდომა. შემთხვევითი არ არის, რომ ალბერტ აინშტაინი, რომელსაც მრავალი თვლის ცხრა უცნობიდან ერთს, დიდხანს მუშაობდა პატენტის ოფისში. რა ეწერა მეცხრე, ყველაზე საშიშ წიგნში, რომელიც ცხრა კავშირის პირველი ბრძენების მიერ იყო შედგენილი? და შეიძლება მისი შინაარსი დაუკავშირდეს XXI საუკუნის დასაწყისში იდუმალ ვითარებაში დაღუპულ მეცნიერთა შრომებს? ლეგენდის თანახმად, იგი ეძღვნება ბირთვული და ფსიქოლოგიური ომის წარმოების ტექნიკასა და მეთოდებს. ზესახელმწიფოებს შორის ბირთვულ დაპირისპირებას აკონტროლებს საიდუმლო ორგანიზაცია “კავშირი ცხრა” იაპონიის ქალაქ ჰიროსიმასა და ნაგასაკის წინააღმდეგ 1945 წელს განხორციელებულმა შეტევამ კაცობრიობას პირველად აჩვენა ბირთვული კატასტროფის საშინელება. ამავე დროს მან განმარტა, რომ სახელმწიფო, რომელიც ფლობს ასეთ იარაღს, უყოყმანოდ გამოიყენებს მათ მომავალში. მანჰეტენის პროექტზე მუშაობა ძალიან საიდუმლო იყო. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც კი არ იცოდა რას აკეთებდნენ მეცნიერები. კომპლექსს, რომელშიც შეიქმნა პირველი ატომური ბომბი, გააჩნდა საკუთარი პოლიცია, კონტრდაზვერვა და კომუნიკაციების სისტემა. ბირთვულ ცენტრში მისული პირი სპეციალური ნებართვის გარეშე ტერიტორიას ვერ ტოვებდა. უფრო მეტიც, ყველა მეცნიერმა შეიცვალა სახელი. მაგალითად, ნილს ბორნი გახდა ნიკოლა ბეიკერი და მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსი ენრიკო ფერმი ყველა დოკუმენტში “99” ფსევდონიმით იყო წარმოდგენილი. 1943 წელს აშშ-ს ყველა ბიბლიოთეკიდან ამოიღეს წიგნები, ჟურნალები და გაზეთების ნომრები, რომლებიც ატომური იარაღის შექმნის შესაძლებლობაზე საუბრობდნენ მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კამპანიის დაწყებამდეც კი ვიღაცამ თითქმის ყველაფერი იცოდა თავად მანჰეტენის პროექტისა და მისი დასრულების შესახებ. 1941 წელს მწერალმა რობერტ ჰაინლაინმა გამოაქვეყნა მოთხრობა „სამწუხარო გადაწყვეტილება“. ჰაინლაინმა დაწერა, რომ ომის ბოლოს ამერიკელები შექმნიდნენ ბომბს იზოტოპ ურან-235-ის საფუძველზე. მისი დახმარებით, ჯარი გაანადგურებს ორ ქალაქს, რის შემდეგაც ნებისმიერი ომი დაკარგავს აზრს. ეს იყო პირველი ატომური ბომბის აფეთქებამდე ოთხი წლით ადრე. ჰაინლაინის ამბავი თვალშისაცემია თავისი სიზუსტით. იმ წლებში პრაქტიკულად არავინ იცოდა ურანის 235-ის შესახებ. როგორ შეიტყო მან ამის შესახებ, უცნობია. ამერიკული სადაზვერვო სამსახურებისათვის ეს ამბავი ნამდვილი აღმოჩენა იყო. მწერალი პასუხისგებაში მიეცა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების გამო. მაგრამ უცნობია, თუ საიდან შეიძლებოდა ჰაინლაინს მიეღო ასეთი დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, რომელიც 1941 წელს ჯერ არ არსებობდა. მაგრამ ინფორმაცია, რომ სსრკ-ში ურანის დაშლაზე მუშაობა 1939 წელს დაიწყო, ბევრად უფრო საიდუმლო გახდა CIA- სთვის. მკვლევარების აზრით, მსოფლიოში არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა სპეციალური სამსახური ერთად... ცხრა კავშირი ხელს უშლიდა დიდი ადრონული კოლაიდერის ამოქმედებას 2008 წლის აგვისტოში, იდუმალ ვითარებაში, საფრანგეთში გარდაიცვალა ბირთვული ფიზიკის რუსი მეცნიერი არკადი მულინი, რომელიც მუშაობდა კვლევის ცენტრში. ფიზიკოსის მანქანა მოულოდნელად გაფრინდა გზიდან და რამდენჯერმე გადატრიალდა. თვითმხილველები ამბობდნენ, რომ იგი სატვირთო მანქანამ პრაქტიკულად გზიდან გამიზნულად გადააგდო. მათ მისი ნომრებიც კი ახსოვდათ. მოგვიანებით გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ ასეთი ნომრების მქონე მანქანა ევროკავშირში რეგისტრირებული არ იყო. არკადი მულინი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც მოამზადა დიდი ადრონული კოლაიდერი გაშვებისთვის, უფრო სწორედ მისი ზოგიერთი ელემენტისთვის. მათი დახმარებით, ფიზიკოსებს სურდათ მიეღოთ მატერიის განსაკუთრებული მდგომარეობა მისი არსებობა მაშინ დადასტურებული მხოლოდ მათემატიკურად გახლდათ. გასაკვირია, რომ მულინის გარდაცვალების შემდეგ, ბნელი მატერიის შექმნის ყველა ექსპერიმენტი უვადოდ გადაიდო. ეს ექსპერიმენტები საშიშია და ამის შესახებ კარგად იციან ფიზიკოსებმა, რომლებიც იქ მუშაობენ.

დღეს ცერნი ყველაზე ცნობილი ნაწილაკების ამაჩქარებლი, იგივე დიდი ადრონული კოლაიდერითაა. ჰიგსის ბოზონიც სწორედ კოლაიდერის მეშვეობით აღმოაჩინეს. 27 კილომეტრიანი გვირაბი, სადაც ნაწილაკებს სინათლესთან მიახლოებული სიჩქარით აჩქარებენ, შვეიცარია-საფრანგეთის საზღვრის ქვეშ მდებარეობს. ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია **CERN**, ნაწილაკების ამაჩქარებლის 27კმ-იან გვირაბს 100 კმ-იანით ანაცვლებს. მიზანი წარმადობის გაზრდა და ისეთი ნაწილაკების აღმოჩენაა, რომელიც ამჟამად ვერ ხერხდება. ფიზიკოსების ნაწილი ოცდაშვიდ კილომეტრიან გვირაბს აპროტესტებდა თუმცა ახალი, ას კილომეტრიანი გვირაბის დასრულებას 2040 წლისთვის ვარაუდობენ შესაძლებელია ცხრა კავშირის წევრებმა სხვებზე უკეთ იციან, თუ როგორ შეიძლება დასრულდეს ექსპერიმენტები დიდ ადრონულ კოლაიდერთან. ისინი ნამდვილად ცდილობენ პლანეტარული მასშტაბის კატასტროფის თავიდან აცილებას. ცხრა უცნობის კავშირის ლოგიკის თანახმად, სანამ კაცობრიობა ისწავლის თავისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის სრულად გამოყენებას თავისთვის ზიანის მიყენების გარეშე, საჭიროა ის გონებრივად გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის მცდელობები დაეუფლოს ახალ ტექნოლოგიებს, მსგავსი იქნება ბავშვს სათამაშოდ ბასრი დანები რომ მივცეთ... სამწუხაროდ, ცხრა უცნობმა ვერ გადაარჩინა სამყარო სისასტიკის, ომების და ეპიდემიებისგან. ვინ იცის, იქნებ კიდევ უფრო მეტი კატასტროფა მომხდარიყო, გარკვეული მოვლენებისთვის ხელი, რომ არ შეეშალათ? ჟაკოლიოტი ამტკიცებდა, რომ კავშირი “ცხრა უცნობი” არსებობდა და დღემდე არსებობს. ამ მხრივ მან ახსენა 1860 წელს სრულიად წარმოუდგენელი ტექნოლოგიები, როგორიცაა ენერგიის გამოყოფა, სტერილიზაცია რადიაციული გზით და ფსიქოლოგიური ომებით.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ნდრანგეტა – ყველაზე ძლიერი მაფია

13 იანვარს სტარტი აიღო „მაქსი-პროცესმა“ კალაბრიის ნდრანგეტის სამასზე მეტ მაფიოზზე დაწყებულმა სასამართლო პროცესმა. პროცესი ხანგრძლივი იქნება, რადგან ბრალდებულთა სიას სამ საათზე მეტხანს კითხულობდნენ. ამ დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობის მცოდნეები, რომელიც იტალიის სამხრეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და შესისხლხორცებული აქვს აქაური წეს-ჩვეულებები, წინასწარმეტყველებენ, რომ პროცესი დაახლოებით ორ წელს მაინც გაგრძელდება.

ჟურნალ „ოგონიოკის“ კორესპონდენტი ელენე პუშკარსკაია იტალიის ფარგლებს გარეთ ნაკლებად ცნობილი ამ მაფიის შესახებ, რომელიც, მსოფლიოში მოქმედებს და განსაკუთრებით ამჟამინდელი პანდემიის პირობებში გაატიურდა, საუკეთესო ექსპერტს — მწერალსა და მკვლევარს ანტონიო ნიკაზოს (რომელიც კანადაში ცხოვრობს და ონტარიოს კინგსტონის სამეფო უნივერსიტეტში ასწავლის) ესაუბრა. ნდრანგეტას ისტორიას მთელი ცხოვრებაა სწავლობს და მის შესახებ დაახლოებით 30 წიგნი აქვს დაწერილი, ბევრი მათგანის თანაავტორი კატანზაროს (კალაბრიის დედაქალაქი) პროკურორი ნიკოლა გრატერია.

— ლამეცია-თერმაში (ქალაქი კალაბრიაში) დაწყებულ „მაქსი-პროცესს“ ხშირად 1980-იანებში გამართულ „მაქსი-პროცესს“ ადარებენ, რომელიც ლეგენდარული პროკურორების ჯოვანი ფალკონესა და პაოლო ბორსელინოს მიერ იყო ინიცირებული. რამდენად სწორია ასეთი შედარება?

— ამჟამინდელ პროცესს „მაქსი“ იმიტომ უწოდეს, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანი და საჩვენებელია თუნდაც ბრალდებულთა, ადვოკატთა, მოწმეთა და ჟურნალისტთა რაოდენობით. თუმცა ის პალერმოში გამართულ „მაქსი-პროცესს“ არ უნდა შევადაროთ, რომლის ამოცანაც თავად კოზა-ნოსტრას, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის, არსებობის დამტკიცება გახლდათ. მანამდე ხომ სიცილიურ მაფიაზე საუბრობდნენ, როგორც ცხოვრების წესზე და არა, როგორც კრიმინალურ სტრუქტურაზე — არსებობს მაფიოზი, მაგრამ არ არსებობს მაფია. პალერმოში გამართული პროცესის საშუალებით ფალკონემ და ბორსელინომ დაამსხვრიეს ეს მითი და წარმოაჩინეს ერთიანი და მძლავრი დანაშაულებრივი სტრუქტურა, კარგად ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემით, რომელსაც „ბოსების ბოსი“ — ტიტო რიინა ედგა სათავეში.

რაც შეეხება ნდრანგეტას, 2010–2012 წლების პროცესების მიმდინარეობისას იტალიის სახელმწიფომ ის კარგად განვითარებულ დაქსაქსულ სახიფათო მაფიოზურ ორგანიზაციად აღიარა. საზღვარგარეთ კი, სადაც ნდრანგეტამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი და დანაშაულებრივი გზებით მოპოვებულ დიდ თანხებს დებს ეკონომიკაში, მისი გავლენა დღემდე ჯეროვნად არ არის შეფასებული. ახლა არსებობს იმის შანსი, რომ სიტუაცია შეიცვალოს, რადგან მედიის ინტერესი ამ ახალი „მაქსი-პროცესის“ მიმართ ძალიან დიდია. ბრალდებები ჯერ კიდევ უნდა დამტკიცდეს, მაგრამ მსოფლიოს, ბოლოს და ბოლოს, შანსი გაუჩნდა, გაიგოს, რას წარმოადგენს მისთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ნდრანგეტა, გაიცნოს და შეძრწუნდეს. და არა მხოლოდ ნდრანგეტით...

— რა გაქვთ მხედველობაში? ეს მაფია უფრო სხვანაირად არის ორგანიზებული, ვიდრე სხვა იტალიური მაფიები, რომლებიც მსოფლიომ უკვე გაიცნო?

— ნდრანგეტა — დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომელიც იტალიის ყველაზე ღარიბ რეგიონში კალაბრიაში გაჩნდა და მსოფლიო მასშტაბებს ახალი ბაზრების ენერგიული ათვისებით მიაღწია. ის ყველგან არის, სადაც ამის საშუალებას კანონმდებლობა იძლევა — სადაც ნაკლებად აკონტროლებენ კაპიტალის წარმომავლობას და კანონმდებლობა გაუმართავია.

პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს მაფია ფულს იქ აბანდებს, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას ხვდება. ეს მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან ნარკოტრაფიკიდან (1990-იანებში ამბობდნენ, რომ ბირთვული მასალებით ვაჭრობითაც) მიღებული ფული ლეგალურ ეკონომიკებში იდება. ამას გარდა, ნდრანგეტას ინტერესებით მოქმედებას ბრაკერები წარმატებად თვლიან და არა მუქარად ან რისკად. განსაკუთრებით ეს ნათელი გახდა გლობალური პანდემიის პირობებში, როცა ბევრი საწარმო იყიდება და ნებისმიერ ინვესტორს გაშლილი ხელებით ხვდებიან. სწორედ ამიტომ არის ნდრანგეტა არა მხოლოდ იტალიის, არამედ მსოფლიოს პრობლემა.

მისი წარმატების საიდუმლო გახლავთ ის, რომ ის გარშემო ქმნის გავლენიანი პროფესიონალების ნდობის ქსელს, რომელშიც შედიან მეწარმეები, პოლიტიკოსები, ჩინოვნიკები, რომელთაც ჩვენთან „ნაცრისფერ ზონას“ უწოდებენ. სწორედ ეს ფენა განსაზღვრავს მაფიოზური სიმძლავრის ხარისხს უკვე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში — მისი მხარდაჭერის გარეშე ნდრანგეტა დიდი ხნის წინ განადგურდებოდა. ძნელია, წარმოიდგინო ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ დამნაშავეებისგან შედგება და რომელიც XVIII საუკუნიდან, ნეაპოლელი ბურბონების გამეფებიდან დღემდე იარსებებდა. ალბათ, სხვა მაფიებსაც უფიქრიათ ამაზე, მაგრამ ეს კალაბრიული დაჯგუფება ამ მიმართულებით ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა.

სწორედ კორუფციით დაინტერესებული მფარველები დაეხმარნენ ნდრანგეტას რადიკალურად გადასხვაფერებულიყო: მწყემსების ბანდებიდან ის იმ ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომელიც სოციუმშია ჩართული, შეუძლია ახალი ტრენდების ამოცნობა და ევოლუცია, რაც მისი ძლიერების საწინდარია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს დამნაშავეთა სკამზე, მაფიოზური კლანების წარმომადგენლების გარდა, სხედან ადვოკატები, ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები და სხვები, ვისი დახმარების გარეშეც ნდრანგეტა ისეთი გლობალუ-

16 ᲒᲐ.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

ᲛᲘᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲙᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— მაინტერესებს განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები.

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი მთლიანად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას. კონკრეტულად:

მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში

1. განზრახ მკვლელობა:

ა) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

ბ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

გ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. განზრახ მკვლელობა:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;

გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

დ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

დ[1]) გენდერის ნიშნით;

ე) ჯგუფურად;

ვ) ოჯახის წევრის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. განზრახ მკვლელობა:

ა) ორი ან მეტი პირისა;

ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;

გ) ანგარებით ან შეკვეთით;

დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა);

ვ) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

შენიშვნა: ამ კოდექსში ახლო ნათესავად მიიჩნევა: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

* * *

— სამოქალაქო კანონებს აქვთ თუ არა უკუქცევითი ძალა?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

* * *

— შეიძლება თუ არა, შრომითი ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული იქნას გარკვეული შეზღუდვები?

— დიახ, შეიძლება.

დაგიკონკრეტებთ შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

სამოქალაქო კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის მოქმედების პერიოდში დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ანაზღაურებას არანაკლებ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას არსებული ოდენობით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ შეიძლება დაუწესდეთ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში მოღვაწე პირებს.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნდრანგეტა – ყველაზე უჩინარი და ყველაზე ძლიერი მაფია მთელს მსოფლიოში

სასამართლო პროცესზე, რომელიც 13 იანვარს დაიწყო, ბრალდებულთა სიას სამ საათზე მეტხანს კითხულობდნენ

← 7 გვ.

რი სტრუქტურა ვერ გახდებოდა, როგორიც დღეს არის.

— რამდენად ძლიერი დარტყმა შეიძლება მიაყენოს ამ სასამართლო პროცესმა „ნაცრისფერ ზონას“, რომელიც ნდრანგეტას მფარველობს?

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნდრანგეტასთვის წაყენებულ ბრალდებებს (ნარკოტრაფიკი, ფულის გათეთრება, გატაცებები, იარაღის უკანონო შენახვა და ა. შ.), ემატება ახალი ბრალდება — დანაშაულებრივი დაჯგუფებისთვის გარედან დახმარების აღმოჩენა (საუბარია მაფიასთან თანამშრომლობაზე, რომლებიც მისი წევრები არ არიან, მაგალითად, ჩინოვნიკები, ადვოკატები). იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში ამჟამად არ არსებობს სტატია, რომელიც სასჯელს ითვალისწინებს მაფიის მხარდაჭერისთვის. ზოგიერთი მოსამართლე ამისთვის სასჯელს უსჯის, როგორც მოხდა, მაგალითად მარჩელო დელ უტრის შემთხვევაში, რომელიც ყოფილი პარლამენტარი და სილვიო ბერლუსკონისთან დაახლოებული პირი იყო. ზოგი მოსამართლე კი ბრალდებულს ათავისუფლებს.

ტიტო რეინა

ახლახან დაწყებული „მაქსი-პროცესი“ კალაბრიაში ნდრანგეტას ფენომენის მიმართ ყურადღების მიქცევის კიდევ ერთი მცდელობაა. მე მიმაჩნია, რომ კანონმდებლებმა უნდა გააუმჯობესონ იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ბის (იტალიის სსკ ანტიმაფიოზური სტატია) სტატია, რათა მაფიისთვის დახმარების გაწევა სსკ-ში შევიდეს, როგორც დანაშაული. ამის საფუძველი ნდრანგეტის შეცვლილი ქცევა გახლავთ, რომელიც ყოველთვის ძალადობრივ ქმედებაზე არ მიდის, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა მისი „გამოჭერა“.

— გამჟღავნდება თუ არა პროცესზე ნდრანგეტის, სახელისუფლო სტრუქტურებისა და პოლიტიკის კავშირი? და რამდენად შეიძლება ეს ჩვენი დროის ფენომენად მივიჩნიოთ?

— ნდრანგეტას ისტორიას 40 წელზე მეტია, რაც შევისწავლი. მე მქონდა შესასძლებლობა, გამეანალიზებინა მისი გასამართლების ყველა მცდელობა 1860-იანებიდან დაწყებული დღემდე და შემიძლია ვამტკიცო: არასოდეს ყოფილა მაფია, რომელიც ღარიბებსა და დაჩაგრულებს დაიცავდა. გინდათ იცოდეთ, საიდან იწყება მაფია? მაფია მაფიად იქცევა იმიტომ, რომ გარკვეულ მომენტში ძალისმიერი მეთოდები, რომლებსაც კარგად ფლობენ დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრები, ლეგალური ხელისუფლებისთვის მოთხოვნადი ხდება — რათა უზრუნველყონ არჩევნების ესა თუ ის შედეგი, განახორციელონ სხვადასხვა სახის სოციალური კონტროლი, ჩაახშონ სოციალური აღშფოთება და ხალხი არ აჯანყდეს და ა. შ.

ხელისუფლებასთან მოლაპარაკების უნარი კლანების სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროცესი ადასტურებს, რომ ნდრანგეტა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ კრიმინალური ფენომენი, ან ძალადობისკენ მიდრეკილ კალაბრიელ მამაკაცთა ჯგუფი. ეს გახლავთ დანაშაულებრივი სისტემა, რომელიც ძალაუფლებისკენ მიილტვის და ლეგიტიმაცია სურს. ის ფაქტი, რომ დღეს დამნაშავეთა სკამზე სხედან პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები, ამას ადასტურებს. ერთ-ერთი ბრალდებული, ოფიცერი კარაბინერი, ნდრანგეტის ბოსებს აწვდიდა ინფორმაციას მათ მიმართ განხორციელებული მიმდინარე ან მომავალი გამოძიებების შესახებ. მაფიის ძალა იმაშია, რომ მას შეუძლია სისტემის შექმნა.

— რომელი პოლიტიკური ორიენტაციისკენ მიილტვის ნდრანგეტა?

— ნდრანგეტას არავითარი იდეოლოგიური უპირატესობები არ გააჩნია. პიემონტში მან მხარი დაუჭირა მემარცხენე ცენტრისტ კანდიდატს, ლომბარდიაში — მემარჯვენეს. ის ხან ერთ მხარეს იჭერს, ხან მეორეს, ეს კალაბრიაში მიმდინარე არჩევნებზე თვალშისაცემია. არ შემიძლია ვთქვა, რომ ის ყველას აკონტროლებს, მაგრამ კალაბრიის ელექტორატის 10–15 პროცენტი მათ უჭერს მხარს, ეს კი პატარა ქალაქებისთვის საკმარისია.

ერთადერთი, რაც მაფიას არ უნდა, ოპოზიასთან ყოფნაა, ის ყოველთვის ხელისუფლებასთანაა, მათთან, ვინც ქვეყანას მართავს.

— პროცესზე ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ლუიჯი მანკუზოა, რომელსაც ნდრანგეტის მეთაურად მიიჩნევენ. ეს მნიშვნელოვანია დაჯგუფების შესასუსტებლად?

— ნდრანგეტა კოზა-ნოსტრასავით ვერტიკალურად მოწყობილი ორგანიზაცია არ არის. ნდრანგეტას სტრუქტურაში არ არის „ბოსების ბოსი“ და არც ცენტრალური ხელმძღვანელობა, მაგრამ არის „კრიმინი“ — წესების დამცველი, ავტორიტეტი, რომელიც შიდა კონფლიქტებს აგვარებს. იმ მრავალრიცხოვანი მაფიოზების ინფორმაციით, რომლებიც გამოძიებასთან თანამშრომლობენ, ასეთი ფიგურა გახლავთ 2019 წლის 19 დეკემბერს „მაქსი-ოპერაციის“ მსვლელობისას დაკავებული ლუიჯი მანკუზო: ის ნდრანგეტის უმაღლესი ავტორიტეტია ვიბო-ვალენტის პროვინციაში და დიდი კრიმინალური წარსულის პერსონაჟი (ციხეში გაატარა 18 წელი).

ლუიჯი მანკუზო

მის გარდა პროცესში მონაწილეობას იღებენ კიდევ 12 კლანის ავტორიტეტები, რომლებიც მანკუზოს კლანთან თანამშრომლობენ.

— ბრალდებას მნიშვნელოვანი მოწმე ჰყავს მანკუზოს კლანიდან...

— დიახ. ლუიჯი მანკუზოს ძმისშვილი და მასთან დაახლოებული ერთ-ერთი პირის ვაჟი მანუელე თანამშრომლობს გამოძიებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ნდრანგეტა სისხლისმიერ კავშირებს ემყარება, აღიარებითი ჩვენებები 58-მა ადამიანმა მისცა. ძალიან მნიშვნელოვანია, კალაბრიელებმა დაინახონ, რომ რეალურად არის შესაძლებელი მაფიოზების შანტაჟისგან თავის დაღწევა. ამ თვალსაზრისით ძალიან კარგია, რომ პროცესი კალაბრიაში იმართება და არა რომში.

— გაქვთ თუ არა იმის იმედი, რომ პროცესი ნდრანგეტას გაანადგურებს?

— ერთი პროცესით ნდრანგეტას ვერ დაამარცხებ. ის კადრების ნაკლებობას არ განიცდის, ყოველთვის მოიძებნებიან სხვა ადამიანები დაპატიმრებულების ნაცვლად. მთავარია, რომ მაფიასთან ბრძოლას კალაბრიის მოსახლეობამ დაუჭიროს მხარი. ამისთვის დიდი საგანმანათლებლო და სოციალური სამუშაოა ჩასატარებელი. მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა.

— შოულობს თუ არა ნდრანგეტა ფულს პანდემიის პირობებში?

— ნდრანგეტა ძალიან მდიდარი ორგანიზაციაა, რომლის შემოსავლის წლიური ბრუნვა ათობით მილიარდი ევროა. პანდემია, რომლის გამოც ბევრი საწარმო და მოქალაქე გაღარიბდა, უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა დანაშაულებრივი სახსრების ლეგალიზაციისთვის. საუკეთესო პირობაა გამოხვიდე გარანტად, როცა მეწარმე ბანკში კრედიტისთვის მიდის. ასეთი სამსახური საშუალებას აძლევს მათ, საწარმოს ლეგალური აქციონერები გახდნენ. მეორე მხრივ, მაფია მთელი ძალით არის დაკავებული ალტერნატიული ველფერით, სოციალური მხარდაჭერით და ხელისუფლების ნაცვლად ეხმარება ღარიბ ოჯახებს — იგულისხმება, რომ ისინი უპასუხოდ არ დატოვებენ მათთვის გაწეულ დახმარებას, მათ შორის, საარჩევნო კამპანიების დროსაც.

„ადამიანურ კაპიტალში“ თანხების დაბანდების სხვა სახეებიც არსებობს. მაგალითად, პროცესში ფიგურირებს დამნაშავეების სატელეფონო საუბარი, რომელთაგან ერთ-ერთი ამბობს, რომ სამსახურიდან მასობრივი გათავისუფლებისა და „პროფესიული შიმშილის“ ფონზე, ადვილია ათასობით ადვოკატის, არქიტექტორისა და სხვა სპეციალისტების სამსახურში აყვანა. „ჩვენ მათ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გავგზავნით და ვერასდროს ვერავინ იეჭვებს, რომ ისინი ნდრანგეტიდან არიან“, — ამბობს ეს მაფიოზი.

ფალკონე და ბორსელინო

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი

ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1